ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## სუს-მა ყალბი ვალუტის შექმნის, შენახვისა და გასაღების ფაქტზე ოთხი პირი დააკავა



გვ.5



გვ.5

## პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

ხუთშაბათი, 13 აპრილი, 2023 №73 (9109) ფასი: 80 თეთრი

# „კეზერაშვილი ჯარის ფულის ამკრები მუქთახორაა და ამით მილიონერ ბიზნესმენად მოგვევლინა“



გვ.3

„კეზერაშვილს რომელიმე ქვეყანა დააკავებს და მას საქართველოს გადმოსცემენ, ან ის მოახერხებს, სასამართლოს გაექცეს და სხვადასხვა კუთხეში დაემალოს“



გვ.2



იაგო ხვიჩია: „სანქციების გულშემატკივარი არა ვარ“

## „ქართული ოცნება“ ნაცების მოსამართლეებზე დგას“

## „რა უნდოდათ, რას ჩიჩქნიდნენ ამ მიწას! რიკოთზე გააქტიურებულია მეწყრული პროცესები“



გვ.2



თეა გოდოლაძე: „ვიხვეწები, გამოიყვანეთ ინჟინრები და ალაპარაკეთ. ნუ ალაპარაკებთ ამ პოლიტიკოსებს“

სოსო ცინცაძე: „საქართველოს ისტორიაში პირველად არის საშინაო პოლიტიკა ასე ძალიან დამოკიდებული საგარეო პროცესებზე, კონკრეტულად კი – რუსეთ-უკრაინის ომზე“



გვ.3

## „ოპოზიციას ლიდერი არა ჰყავს“



გვ.4

### საგამოძიებო სამსახურმა მარტში უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 36 ფაქტი გამოავლინა



გვ.4

### „პუტინი არ არის ლიდერი. ის საკუთარი გარემოცვისთვის დიდი ტვირთია“



გვ.5

### მამაკაცმა ყოფილი შეყვარებულის საქმრო საქორწინო საჩუქრით ააფეთქა

1993230720223

**5** საქართველოს 42 წლის მოქალაქე საბერძნეთში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

**4** რუს მედესანტეებს ახალი იარაღი გადასცეს

**5** ფიზიკური დაპირისპირება ქუთაისის სკოლაში

**6** უკრაინულმა არმიამ პრიგოჟინი სიცრუეში ამხილა

# „ქართული ოცნება“ ნაცების მოსამართლეებზე დგას“

## იაგო ხვიჩია: „სანქციების გულშემატკივარი არა ვარ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი იაგო ხვიჩია პასუხობს.



***– ბატონო იაგო, პარლამენტი დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს თავიდან განიხილავს. ორი კანონპროექტია წარმოდგენილი. თქვენ რომელ კანონს დაუჭერთ მხარს?***

– დეოლიგარქიზაციის არცერთ პროექტს მხარს არ დავუჭერთ, რადგან ამ ქვეყნის პრობლემებს არ ჰქვია ოლიგარქია. მას ჰქვია ერთპიროვნული მმართველობა. ეს პროექტები პრობლემებს უფრო შექმნის, ვიდრე მოაგვარებს. ჩვენთან ეს პრობლემა ყოველთვის იყო. არასწორ სახელს არქმევენ. ასევე ეს იწვევს მეორე პუნქტის დარღვევას. კანონებით ერთმანეთთან ბრძოლა არ არის, ჩემი აზრით, დეპოლარიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ ოდითგანვე გვქონდა ერთპიროვნული მმართველობის პრობლემა. ეს უფრო მეტი პრობლემაა და ჯერ ეს უნდა აღმოვფხვრათ.

***– ბატონო იაგო, რას იტყვით სანქცირებული მოსამართლეების შესახებ? რა გზავნილია ეს ჩვენი მეგობარი ქვეყნის მხრიდან და რამდენად გაიაზრა ხელისუფლებამ ეს ყველაფერი, რამდენად სწორი იყო მათ ანალიზი?***

– ხელისუფლება, თავისთავად ცხადია, ცდილობს, არ გაწიროს ეს მოსამართლეები. რაღაც თვალსაზრისით მათი ტრაგედიაა ის, რომ საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, „ქართული ოცნება“ ნაცების მოსამართლეებზე დგას, იმ მოსამართლეებზე, რომელთა გამოც ყველაზე მეტს აკრიტიკებდნენ იმ პერიოდში ნაციონალურ მოძრაობას და სინამდვილეში რის გამოც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. საბოლოო ჯამში კი ისე მოხდა, რომ იდენტიფიცირება მოახდინა და თქვა, ამ მოსამართლეებს რომ ეხებით, მე მეხებითო.

***– ცოტა უხერხული ხომ არ არის პრემიერისგან სანქცირებულ მოსამართლეებზე იმის თქმა, რომ ამაყობს მათით? თითქოს ჯიბრზე აკეთებს მსგავს განცხადებებს.***

– ამერიკელებმა დაასანქცირეს ქართველი ხალხისთვის ყველაზე მეტად მიუღებელი ადამიანები სახელმწიფო სისტემაში. შესაბამისად, ეწინააღმდეგები არა ამერიკელების, არამედ ხალხის ნებას. ხალხისთვის არიან ეს ადამიანები მიუღებელი, თორემ ამერიკელები ამ შემთხვევაში ხალხის ნებას გამოხატავენ. სწორედ მურუსიძის არმოწონების გამო მოვიდნენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნის სათავეში.

### „საგამოძიებო კომისიის შექმნა ნაცებმა შეგნებულად ჩაშალეს“

***– ყველა ელოდა, რომ ამ მოსამართლეებს სისტემიდან გაუშვებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორ ფიქრობთ, რაიმე ზომებს გაატარებს ბიძინა ივანიშვილი თუნდაც იმის შიშით, რომ მასაც არ შეეხოს სანქციები?***

– გააჩნია, რამდენად რაციონალურად უყურებს სიტუაციას და რამდენად არ არის გაჯიუტებული. მე არ ვიცნობ ბატონ ივანიშვილს და გამიჭირდება, მის ხასიათზე რამე ვთქვა, მაგრამ ნებისმიერი რაციონალური ადამიანი დაფიქრდებოდა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ის, რომ შენ აღმოჩნდი მურუსიძის მხარეს შენი სახელით მოლაპარაკე ხალხით, ჩემი აზრით, ძალიან არასერიოზულია. კი, მესმის გაჯიუტება, ყველაფერი მესმის, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის გადაბიჯება ძალიან რთულია. მურუსიძის სასამართლო კარგია და ვამაყობო, შენი სახელით ვიღაც რომ ლაპარაკობს, ეს კარგი ნამდვილად არ არის.

***– როგორ ფიქრობთ, გაფართოვდება სანქცირებულთა სია? გაგრძელდება სანქციები?***

– დავიწყოთ იქიდან, რომ მე სანქციების გულშემატკივარი არა ვარ, შესაბამისად, ვინც არ უნდა იყოს ეს. ცუდი ის არის, რომ აქამდე მიდის საქმე საბოლოო ჯამში, მაგრამ, თუ მართლა რომელიმე სისტემა იყო დასასანქცირებელი ამ ქვეყანაში, თავისთავად ცხადია, ეს იყო სასამართლო სისტემა საკუთარი წარსულისა და აწმყოს გამო. ეს აუცილებლად მეგობარს უნდა ეთქვა, რომ ჩვენ შანსი გვქონდეს მომავალში. ეს დასაფასებელი საქციელია, თუმცა მე არ მსიამოვნებს ეს ფაქტი. ჩვენი ხელისუფლება ამის გამოსწორებაზე კი არ ფიქრობს, უბრალოდ, ებრძვის ამერიკის შეერთებულ შტატებს. სიტუაცია სადამდე მივა და მოეგება თუ არა ვინმე გონს, დრო გვაჩვენებს. ეს დამოკიდებული იქნება რუსეთ-უკრაინის ომზეც.



***– ეს იყო უკიდურესი ნაბიჯი მეგობარი სახელმწიფოს მხრიდან? სიტყვით ვერაფერი შეასმინეს ჩვენს ხელისუფლებას?***

– პირდაპირ რომ არავის არ ასანქცირებენ, ფაქტია. ამასთან დაკავშირებით საუბარი დიდი ხნის წინ იყო დაწყებული.

***– ეს პროცესი რამდენად შეუშლის ხელს კანდიდატის სტატუსის მინიჭებას? ევროსტრუქტურები როგორ შეაფასებენ მომხდარს? რამდენად არის საფრთხე, რომ ამ საკითხს გადახედონ?***

– არაფერს რომ ხელს არ შეუწყობს, ეს ხომ ფაქტია. დანარჩენი ვნახოთ. მე მინდა, არაფერმა არ შეუშალოს ხელი ჩვენს ევროინტეგრაციის პროცესს, მაგრამ ეს ისეთი ფაქტორია, რომელზეც, ხელშემწყობიაო, ვერ იტყვი, პირიქით, ძალიან შემაფერხებელი ფაქტორია.

***– ამ ფონზე რამდენად კარგად გამოიყურება ოპოზიცია? გუშინ რაც მოხდა პარლამენტში, ყველამ ნახა. საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის უნდა ეყარათ კენჭი და ნაციონალი დეპუტატები არ მივიდნენ. რა იყო ეს, უპასუხისმგებლობა თუ მიზანმიმართულად მოიქცნენ ასე ნაცები?***

– ეს მოსალოდნელიც იყო. მე ამას ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს მანამდეც ვეუბნებოდი. რამდენიმე დღით ადრე იყო ჩემთვის ცნობილი, რომ ნაცმოძრაობა არ აპირებდა ამისთვის მხარის დაჭერას. ეს საგამოძიებო კომისია ამ მოსამართლეების მხოლოდ აწმყო ქმედებებისკენ კი არ იქნებოდა მიდრეკილი, არამედ იქნებოდა იმ პერიოდისკენაც, რომელიც ნაცმოძრაობის მმართველობას ეხება.

***– არ აწყობდათ კომისიის შექმნა?***

– რასაკვირველია. სწორედ ამიტომაც ჩაშალეს მათ ეს კომისია. სხვანაირად ასე არ მოხდებოდა.

***– 10 დღის წინ იყო დაგეგმილი ეს ვიზიტი პოლონეთში.***

– კარგით, რა, ვიზიტებიც გადადებულა ქვეყანაში. როცა კომისიის შექმნას შენი მიზეზით შლი, უკვე აღარაფერს აქვს მნიშვნელობა. არ შეიძლება, ეს პარტია მთავარ ოპოზიციურ ძალად იწოდებოდეს. არსებული სიტუაცია შესაცვლელია. ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ ერთი ჯოხის ორი ბოლოა. ისინი ერთმანეთს კვებავენ და აძლიერებენ. დიდი იმედი მაქვს, საზოგადოება ამას გააცნობიერებს და არსებულ სურათს შეცვლის.

***– ბატონო იაგო, ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა ბეწვის ხიდზე გადის, შუა გაკრეფილია – ან დასავლეთი, ან რუსეთი, სხვა არჩევანი არ არსებობსო. რა უნდა გაკეთდეს, რომ არსებული ვითარება ქვეყნის სასიკეთოდ შემოვაბრუნოთ?***

– არსებული რეალობა ქვეყნის სასიკეთოდ რომ შემოვაბრუნოთ, გააჩნია, ვისი პოზიციიდან ვლაპარაკობთ და ჩვენ ვინ ვართ ამ დროს! შენ თუ ბიძინა ივანიშვილი ხარ, სხვა რესურსები გაქვს, თუ სხვა ხარ, სხვა რესურსები გაქვს. ზოგადად კი დროა, აზრზე მოვიდეთ, კრიტიკულად შევხედოთ პოლიტიკურ გარემოს. თუ რამის შეცვლა გვინდა, უნდა გავიხედოთ ნაცმოძრაობისა და „ქართული ოცნების“ მიღმა. დღეს მართლა გვჭირდება სერიოზული ცვლილებები. ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა და ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ. ვიღაცის იმედად ყოფნა, რომ მოვა და გვიპატრონებს, დიდი შეცდომაა.

***– მიხეილ სააკაშვილის ოჯახმა სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნა სარჩელი. რას ელით?***

– ზოგადად, ამ საქმისგან დიდად არაფერს ველი. ვფიქრობ, კონსენსუსი მიშა სააკაშვილის თემაზე საქართველოში უნდა ვიპოვოთ და არა სტრასბურგში. ეს როგორ მოხდება, სხვა საკითხია, თუმცა, რასაკვირველია, წარმატებას ვუსურვებ. მე, ზოგადად, პატიმრების გამოშვებას ვგულშემატკივრობ.

# „რა უნდოდათ, რას ჩიჩქნიდნენ ამ მიწას! რიკოთზე გააქტიურებულია მეწყრული პროცესები“

## თეა გოდოლაძე: „ვიხვეწები, გამოიყვანეთ ინჟინრები და ალაპარაკეთ. ნუ ალაპარაკებთ ამ პოლიტიკოსებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სეისმოლოგი თეა გოდოლაძე პასუხობს.

***– ქალბატონო თეა, თქვენთვისაც ცნობილია, რიკოთზე რაც ხდება, ისევ ზვავი ჩამოწვა, ცვივა ლოდები და გზა ისევ ჩაიკეტა. რეალურად რა ხდება, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***



– არ უნდა ამას დიდი ფილოსოფია. როდესაც სპეციალისტი ხარ, იცი, რა შეიძლება მოხდეს. არის არასწორი ჩარევა და გააქტიურებულია მეწყრული პროცესები. ამას რა შეაჩერებს, ვერ ვხვდები. მაშინ დამატებით უნდა ჩადო ძალიან ბევრი ფული. რიკოთის მონაკვეთი მიეკუთვნება ძირულას მასივს. ძირულა არის ყველაზე ძველი ქანები ამიერკავკასიაში. 600 მილიონი წლისაა. ეს გადაძველებული, მეტამორფული ქანები დამატებით კიდევ განიცდის აქტიურ დეფორმაციას, დანაოჭებას, აზევებას! აშლილია ქანებიო, დასკვნებში მაგიტომ წერენ. რა უნდოდათ, რას ჩიჩქნიდნენ ამ მიწას! ის ჩინური კომპანია საერთოდ აზრზე არ იყო, რას აკეთებდა. ამის შესახებ ადრეც გაგვაფრთხილეს. დეკაბრიული ხანის ქანებია, ხალხო! ცვლადი, თაბაშირგარეული, არაკონსოლიდირებული. ყველანაირი უბედურება იქ არის. ნებისმიერ წვიმაზე მოდის ის მიწა, არამდგრადია და ეს ხომ ყველამ იცის. წავიდნენ და იმერლებს ჰკითხონ, როგორი შლადი მიწა აქვთ. იქ სულ მეწყრულია პროცესები. პროცესი მიდის თვითსტაბილიზაციისკენ. ჩემთვის საოცრება სულაც არ ხდება.

***– ჩარევა მოხდა სერიოზული კვლევების გარეშე?***



– არასწორი ჩარევაა. ეს უნდა ყოფილიყო გეოლოგიის გათვალისწინებით. ძალიან სკრუპულოზურად უნდა ყოფილიყო მარშრუტი გათვლილი და საინჟინრო გადაწყვეტილებაც უნდა ყოფილიყო შესაბამისი. არავის არ უსმენენ და კი ბატონო. მეგონა, იცოდნენ, რას აკეთებდნენ, ისეთი თავდაჯერებით საუბრობდნენ და თურმე არაფერიც არ სცოდნიათ.

***– ვერ გათვალეს?***

– რიკოთის მაგისტრალზე სეისმური საშიშროება შეფასებული არ არის. ისევ ჩვენი 24 წლის წინანდელი ნაშრომის მიმოხილვაა გადამღერებული. ეს უნდა შეწყდეს, თორემ ძალიან მძიმე დღეში ჩავცვივდებით.

***– არსებობს ამის გამოსწორების გზები?***

– შეუქცევადი პროცესებია! როდესაც გამოვდივართ მეცნიერები და ვამბობთ, რომ ეს არის შეუქცევადი პროცესი, სწორედ მაგას ნიშნავს, ჩარევამდე არ უნდა გააკეთო, თორემ ახლა მიწის დამჭერი არც თქვენ ხართ და არც მე, თანაც ამ მასშტაბის.

***– არადა, სერიოზული დონის პროექტი უნდა განხორციელებულიყო და მაშინ რაშია გამოსავალი? არ არის?***

– რა გითხრათ. სანამ პროცესი თვითსტაბილიზაციისკენ არ წავა... კი ბატონო, ჩასვან ბეტონის სარკოფაგში და დაჯდება ასჯერ მეტი, ვიდრე დაჯდა აქამდე. ახალტურონ ცემენტზე და გვექნება სულ ეს ამბავი. მართლა არ ვიცი, რა გითხრათ. ვიხვეწები, გამოიყვანეთ ინჟინრები და ალაპარაკეთ. ნუ ალაპარაკებთ ამ პოლიტიკოსებს, იმიტომ, რომ აზრზე არ არიან ეს პოლიტიკოსები, აზრზე არ არიან ეს გადაწყვეტილების მიმღებები და საერთოდ სისულელეს სისულელეზე ლაპარაკობენ. ჯობია, სპეციალისტმა ილაპა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ შერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კეზერაშვილი ჯარის ფულის ამკრები მუქთახორაა და ამით მილიონერ ბიზნესმენად მოგვევლინა“

გულიკო ბალაძე

## „კეზერაშვილს რომელიმე ქვეყანა დააკავებს და მას საქართველოს გადმოსცემენ, ან ის მოახერხებს, სასამართლოს გაექცეს და სხვადასხვა კუთხეში დაემალოს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.

***— ბატონო ზურაბ, რა რეაქცია გაქვთ ბიბისის გამოძიებაზე კეზერაშვილის თაღლითურ საქმიანობასთან დაკავშირებით? მოკლედ, ბიბისის ჟურნალისტებმა მოიპოვეს დოკუმენტები და წარმოადგინეს სქემა, რომლითაც დასტურდება, რომ კეზერაშვილი გარკვეულ პირებთან ერთად ქოლცენტრების სათავეშია და ევროპელი პენსიონერების ფულებს იპარავს.***

— მე ეს არ გამკვირვებია. ამ ინფორმაციას ადრეც ვფლობდი და არაერთხელ გამოვეხმაურე, ვრცელი წერილიც გავაკეთე, სადაც ჩამოვწერე, კიევსა და სხვაგან, სად რომელ ოფისში, ვისთან ერთად რას აკეთებდა, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. ელემენტარული ინფორმაცია გვქონდა და ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა.

რეალურად, ე.წ. ქოლცენტრების უკან კეზერაშვილი დგას. ქოლცენტრების მეშვეობითაც არა მხოლოდ ევროპელ პენსიონერებს ძარცვავს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, კიდევ არაერთ ადგილზე, თაღლითური გზებით თანხებს ითვისებს.

უბრალოდ, ახლა ბიბისიმ კეზერაშვილს ვრცელი სტატია მიუძღვნა და განაცხადა, რომ მთელი ამ სქემის სათავეში კეზერაშვილია. 100-ზე მეტი ჟურნალის დამოუკიდებელი ავტორი თუ მედიაპლატფორმა ჩართული იყო ამ სქემის გაშიფვრაში და პირდაპირ კეზერაშვილსა და მის გარემოცვას მაქინაციური სქემების განხორციელებაში ადანაშაულებენ.

არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსა და გერმანიის პროკურატურები საერთო ღონისძიებების ფარგლებში მუშაობდნენ და მუშაობენ. მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს და ამ სქემასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს. დამოკლეს მახვილი ნელ-ნელა დაშვებას იწყებს (რაც მოსალოდნელი იყო) იმ ადამიანის თავზე, რომლის კისერზეც ამდენი დანაშაულია.



კეზერაშვილს დანაშაული აქვს ჩადენილი, დაწყებული საქართველოდან, გაგრძელებული მთელ ევროპაში. მე მას მაროდიორს ვეძახი. ის ჯარის ფულის ამკრები მუქთახორაა, რომელიც არაფერს ფლობდა და თანამდებობაზე ყოფნის შემდეგ მილიონერ ე.წ. ბიზნესმენად მოგვევლინა.

მსოფლიო მასშტაბით გაირკვა, რომ რეალურად კეზერაშვილი არის საერთაშორისო დონის თაღლითი, მაქინატორი, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპის პენსიონერებს ძარცვავდა.

***— რა ელოდება კეზერაშვილს მაშინ, როდესაც ის საქართველოს პოლიტიკაში ღიად შემოსვლას გეგმავს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ პატიმრობა აქვს მისჯილი გარკვეულ საქმეებზე? თუ არ ვცდები, ერთ-ერთი ჯარის გაძარცვის საქმეა, რომელზეც 5 მილიონის გადახდა დაეკისრა. ამის მიუხედავად, მან ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიტიკაში შემოსვლას აპირებს.***

— კეზერაშვილი ქართულ პოლიტიკაში ირიბად უკვე არის ჩართული. დღეს ყველა რადიკალური პროცესის უკან კეზერაშვილის შავი ფული დგას, რომელშიც ლომის წილი ქართული ჯარის ნაძარცვი ფულით მიღებულ დივიდენდებსა და ბენეფიტებს აქვს. კეზერაშვილმა ნაძარცვი ფულით ბიზნესი დაიწყო. ის აკონტროლებს ნაცმოძრაობას, ასევე – ვაშაძე-ჯაფარიძე-ხოშტარიას ტროიკას. ის აკონტროლებს ყველა რადიკალურ პროცესს, ვგულისხმობ მისი ცოლისძმის ხელით კონტროლირებად ე.წ. სტუდენტურ თემებს, არაერთ პლატფორმას, ფორმულას. სხვა ძალიან ბევრ მედიაორგანიზაციასა და აქტორებს აფინანსებს.

კეზერაშვილი ყოველთვის ჩართული იყო ქართულ პოლიტიკაში. ის ცდილობდა, რამენაირად მცირე გავლენები მოეპოვებინა ქართულ პოლიტიკაში, ქართულ რეალობაში და საქართველოში დაბრუნებულიყო, რის საშუალებითაც პოლიტიკურ სარჩულს გაიკეთებდა საერთაშორისო დანაშაულის დასაფარად, რათა რამენაირად პასუხისმგებლობისთვის თავი აერიდებინა.

სამართალი ურმით დადის, მაგრამ აუცილებლად დადის. კეზერაშვილსაც უწია იმ ურემმა, რომლის საშუალებითაც მის თავზე დამოკლეს მახვილი მალე დაეშვება და ოლიგარქიული ხელი მოეჭრება.

***— რა ელოდება?***

— კეზერაშვილს, პირველ რიგში, საექსპერტო შეფასებები ელოდება, შემდეგ საერთაშორისო სასამართლო გამორიცხული არ არის. საერთაშორისო შეფასებებით, საერთაშორისო ექსპერტული წრეების მიერ უნდა დაიწყოს დადგენა, კონკრეტულად რა მუხლით, რა დარღვევაა. ეს დიდი პროცესი არ არის, პატარა პროცესია.



ერთია, რომ გამოიკვეთა სქემა. ეს სქემა არაკანონიერი და არაკეთილსინდისიერია. მეორეა, სხვადასხვა ქვეყანაში რა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ნორმებს არღვევდა და კონკრეტულად რა სისხლის სამართლის მუხლი მიუდგება, რაც სუფთა იურიდიული საკითხია.

თუ ჩვენ ამ იურიდიულ საკითხს აქედან საერთაშორისო დონეზე ვერ ვაგონებდით, კონკრეტული მიზეზებიდან გამომდინარე, ახლა უკვე ბიბისიზე მაღალი მედიაპლატფორმა რა უნდა იყოს.

ახლა, ქართული და გერმანული პროკურატურების გარდა, გამოძიება სხვა ქვეყნებშიც დაიწყება, თუ დაწყებული არ არის. დაველოდოთ გამოძიებას. კეზერაშვილი დაამთავრებს ისე, როგორც უნდა დაამთავროს ასეთი დონის თაღლითმა და ნაძირალამ, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ჯარის ძარცვით ნაშოვნი ფულით გააგრძელა საქმიანობა მსოფლიოს მასშტაბით. რამდენი ოჯახი დააზარალა, რამდენი ადამიანის განადგურებას შეუწყო ხელი, ამის მიხედვით უნდა დაისაჯოს.

***— კეზერაშვილს არ აპატიმრებენ და საქართველოში ექსტრადირებას არ უკეთებენ, მაგრამ გერმანელი პროკურორები ასე ხელწამოსაკრავები არიან?***

— მესმის თქვენი პათოსი, რასაც გულისხმობთ და გეთანხმებით, ჩვენი ხმა საერთაშორისო დონეზე ვერ გავაგონეთ, მაგრამ, იმედია, ბიბისის გამოძიების შემდეგ ეს პროცესები დაიწყება.

იურისტი არა ვარ. იურიდიულ დეტალებში ვერ შევალ. ვერ გეტყვით, საერთაშორისო სამართლით საქმის წარმოება როგორ ხდება, სხვადასხვა ქვეყანაში როგორი აპრობირებული მეთოდებია, მაგრამ, ქართულ-გერმანული თანამშრომლობიდან გამომდინარე, აუცილებლად დაიწყება.

კეზერაშვილს რომელიმე ქვეყანა დააკავებს და მას საქართველოს გადმოსცემენ. რომელი ქვეყანა დააკავებს და ადგილობრივი თუ საერთაშორისო სასამართლო გაასამართლებს, ამას უკვე მომავალში ვნახავთ. კეზერაშვილი გასამართლებას რომ ვერ ასცდება, ცალსახად ნათელია.

***— ანუ კეზერაშვილს აუცილებლად დაპატიმრება ელის?***

— დიახ. ან ის მოახერხებს, სასამართლოს გაექცეს და სხვადასხვა კუთხეში დაემალოს, ან მიიღებს იმას, რაც ეკუთვნის.

***— რა ელოდება კეზერაშვილის მიერ დაფინანსებულ ოპოზიციასა და, კერძოდ, ნაცმოძრაობას?***

— ნაცმოძრაობას რაღა უნდა მოუვიდეს, ხაბეიშვილს შეხედეთ. ნაცმოძრაობის დემონტაჟი დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ისეთი სასაცილო პერსონების განდიდებამ, როგორიც ხაბეიშვილია. ნაცმოძრაობა დარჩა ხაბეიშვილის ჰაბიტუსის ამარა. ბოლო ვერსიით, შეიძლება, ნაცმოძრაობას ზოგიერთმა ორთოდოქსმა მიმდევარმა დაუჭიროს მხარი.

ნაცმოძრაობა გუშინდელი დღეა, ჩარეცხილი პარტიაა, როგორც მიხეილ სააკაშვილი ამბობდა სხვებზე. რასაც სხვებზე ამბობდა, მათაც ის დაემართათ.

***— ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ ასეთი წერილები ადრეც დაიბეჭდა, მაგრამ რეალურად რაიმე ქმედითი შედეგი არ მოჰყოლია.***

— რა უნდა თქვას, ბეჟუაშვილი კეზერაშვილის ფულს იღებს. პეტრე ცისკარიშვილი კეზერაშვილის პარტნიორია, ხომ არ იტყვიან, თავი აქვს მოსაჭრელიო. დაელოდონ, რას მიიღებს კეზერაშვილის ფინანსური მხარდაჭერით მისი გათითოკაცებული პარტია და რა პროცესები დაიწყება.

***— კეზერაშვილის განეიტრალებით სიტუაცია დამშვიდდება?***

— ყველა პარტიას თავისი ჩანაფიქრი აქვს. ჩემი აზრით, ყველა მომაფიოზო, მოოლიგარქო ტიპაჟი, რომელსაც პოლიტიკაში ყოფნის პრეტენზია აქვს, ადრე თაღლითური გზებით გამდიდრებაში შემჩნეული იყო.

ეს მხოლოდ კეზერაშვილი არ არის. კეზერაშვილისნაირი პოლიტიკაში ბევრი გვყავს. სახელებსა და გვარებს ნუ ჩამოვთვლით. გადავხედოთ და ვნახავთ, დამფინანსებლები ვინ არიან რადიკალურ ოპოზიციაში. ეს სიტუაცია რადიკალურ, გასაცოდავებულ ოპოზიციას ნამდვილად არ წაადგება. ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ რეალობას წაადგება. ჯანსაღი პროცესები დაიწყება.

# „ოპოზიციას ლიდერი არა ჰყავს“

ნათია ხურცილავა

## სოსო ცინცაძე: „საქართველოს ისტორიაში პირველად არის საშინაო პოლიტიკა ასე ძალიან დამოკიდებული საგარეო პროცესებზე, კონკრეტულად კი – რუსეთ-უკრაინის ომზე“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, ბიბისის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც კეზერაშვილს თაღლითური სქემის ერთ-ერთ ორგანიზატორად მოიხსენიებს, ნიკა მელია გამოეხმაურა. მელია ამბობს, რომ კეზერაშვილს პოლიტიკიდან შორს ყოფნა ურჩია.***

— ოპოზიცია მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ახლა ყველაზე მწვავე კრიზისულ პერიოდს გადის. რით დასრულდება ეს კრიზისი, რთული სათქმელია. ისევ არ ჩანს ეფექტური ლიდერი. თავისუფალია ოპოზიციის ლიდერის სავარძელი. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ოპოზიციას არა ჰყავს სტრატეგი. შეიძლება, მებრძოლი პოლიტიკოსები არიან, რისკზეც კი მიდიან, მაგრამ ლიდერს სულ სხვა თვისებები სჭირდება. ის ქარიზმატული ლიდერი, რომელიც არსებული ხელისუფლების ალტერნატივას შექმნიდა, ჯერ არ ჩანს.

კონკრეტულ პოლიტიკოსებზე თუ ვისაუბრებთ, ძალიან მალე გამოჩნდა, რომ ხაბეიშვილი არის მებრძოლი, მაგრამ ის ვერ იქცა ლიდერად და ეს სრულიად მოსალოდნელი იყო. 21-ე საუკუნის ლიდერს, ბრძოლისუნარიანობის გარდა, კიდევ სულ სხვა თვისებები სჭირდება.

რაც შეეხება ნიკა მელიას, მისი თითოოროლა განცხადება ვერაფერს ვერ შეცვლის.



მას ჰქონდა შანსი, მაგრამ დღეს ეს შანსი ნულის ტოლია.

რაც შეეხება გიორგი გახარიას, მას ნამდვილად ჰქონდა შანსი, პრემიერის პოსტიდან გადადგომის შემდეგ სხვანაირი პოლიტიკითა და ტაქტიკით გამხდარიყო ოპოზიციის რეალური ლიდერი, მაგრამ დღემდე ვერ გავიგე, რა უნდა გახარიას. დიდი ეჭვი მაქვს, ვერავინ ვერ გაიგო. არადა, ჰქონდა შანსი, რომ მიუხედავად იმ სირთულეებისა, იმ დაბრკოლებისა, რომელიც მას, მის ფიგურას ახლდა, გადაელახა და ოპოზიციას ჩასდგომოდა სათავეში. თავის დროზე სირთულეები ჰქონდათ სააკაშვილსაც, ივანიშვილსაც. მარტივად არ მოსულა ის გამარჯვება, რომელიც მათ მოიპოვეს. მათ ფიგურებსაც ახლდა კითხვები, მაგრამ მაშინ მათ საზოგადოებას, ამომრჩეველს დაუმტკიცეს, რომ შეძლებდნენ.

***— ეს ვერ დაამტკიცა გახარიამ?***

— ვერა, ვერ დაამტკიცა, პოლიტიკური ცხოვრების დინამიკას ფეხი ვერ აუწყო. ვფიქრობ, მაინც ვერ გადააბიჯა ივანიშვილს. გახარია არაფერს არ აკეთებს, რომ ეს თავისუფალი ადგილი მოიპოვოს. თითქოს ბრძოლის ჟინი არა აქვს ან უარს ამბობს სრულიად შეგნებულად. ტელეეკრანზე ერთი-ორჯერ გამოჩენა არაფრისმომტანია. ლიდერობისთვის სულ სხვა რამ არის საჭირო. არადა, მას თითქოს ეს შეუძლია.

***— რამდენად რეალურია, 2024 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში გადავიდეს?***

— დღეს არსებული პოლიტიკური სურათით ამის შანსი მინიმალურია ან საერთოდ არ არის, მაგრამ არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა და არ ვიცით, რა მოხდება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად არის საშინაო პოლიტიკა ასე ძალიან დამოკიდებული საგარეო პროცესებზე, კონკრეტულად კი – რუსეთ-უკრაინის ომზე. ამ ომის ბედზე დიდად იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

მიუხედავად ყველაფრისა, „ქართული ოცნება“ მთელი მონდომებით აკეთებს ყველაფერს, რომ შეიცვალოს. ყველა სიკეთესთან ერთად, მმართველმა პარტიამ მოახერხა, 30 წლის მეგობარი, სტრატეგიული პარტნიორი საკუთარ მოწინააღმდეგედ ექცია. დღეს ვაშინგტონი და ბრიუსელი საქართველოს ხელისუფლებას სანდო პარტნიორად არ მიიჩნევენ. ეს უკვე არავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოს. სტრატეგიულ პარტნიორთან ასეთი დამოკიდებულება რომ გქონდეს, ეს უნდა მოახერხო.

როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებენ, მაგრამ აქ არის ერთი განსხვავება – ოპოზიციის შეცდომა ოპოზიციაზე აისახება და მხოლოდ მასზე მოქმედებს, ხელისუფლების შეცდომა კი – მთელ ქვეყანაზე. ეს განსხვავებაა.

***— რა იყო ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა?***

— 2012 წლიდან მოყოლებული, „ქართულ ოცნებას“ არ დაუშვია ისეთი დიდი შეცდომა, როგორიც დაუშვა ორი დღის წინ – ეს იყო სანქცირებული მოსამართლეების კბილებით დაცვა. ეს იყო კატასტროფული შეცდომა. მხარდაჭერის ათასი ფორმა არსებობს და „ქართულ ოცნებას“ შეეძლო, რომელიმესთვის მიემართა, მაგრამ არა ასე – პრემიერი ეახლა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებს და გარანტორად დაუდგა. ეს იყო გამაოგნებელი პოლიტიკური შეცდომა. ხელისუფლებამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საჯაროდ, დემონსტრაციულად უთხრა, არ გცნობ, არ ვცნობ შენს სანქციებს, შენს გადაწყვეტილებასო. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს შეცდომა საუკეთესო სურვილებითაც იყო ნაკარნახევი, მაგრამ აბსოლუტურად წამგებიანი ფორმაა საკუთარი თავისთვის, საკუთარი მომავლისთვის.

# „პუტინი არ არის ლიდერი. ის საკუთარი გარემოცვისთვის დიდი ტვირთია“

## რა მდგომარეობაშია აგრესორი რუსეთის გავლენიანი საზოგადოება პუტინის მიმართ დაპატიმრების ორდერის გაცემის შემდეგ?

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინის ფრონტზე გადამწყვეტი ეტაპი დგება. მსოფლიო რუსეთის მარცხის მოლოდინშია. როგორი მდგომარეობაა რუსეთის ფედერაციაში? როგორ იმოქმედა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ პუტინის მიმართ გაცემულმა დაპატიმრების ორდერმა რუსეთის საზოგადოებასა და მის გარემოცვაზე? რა სიმბოლური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ ორდერს? – ამ და სხვა საკითხებს ბელარუსის თავისუფალ მედიასთან განიხილავს ჩეხეთში მოღვაწე ცნობილი რუსი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი ანდრეი ზუბოვი.

***– დავიწყოთ იმ სიტუაციით, რომელიც შეიქმნა სისხლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ პუტინისთვის გაცემული დაპატიმრების ორდერით. თქვენი აზრით, როგორ იმოქმედა ამან კრემლის მეთაურის გარემოცვაზე?***

– ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ამან ძალიან ძლიერი გავლენა მოახდინა პუტინზე, მის გარემოცვასა და საერთოდ რუსეთის საზოგადოებაზე. ჯერ ერთი, ამას სიმბოლური დატვირთვა აქვს. პუტინი არ აპირებს გერმანიაში ან საფრანგეთში ჩასვლას, სადაც მას დააკავებდნენ. მიუხედავად ამისა, ეს გადაწყვეტილება იმის ნიშანია, რომ მსოფლიო თანამეგობრობისათვის პუტინი ექვმიტანილია კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენაში. ადამიანებმა რუსეთში გააცნობიერეს, რომ მსოფლიო ამ ადამიანს დამნაშავედ მიიჩნევს.

პირები, რომლებიც ასე თუ ისე სოლიდარულები არიან პუტინის მიმართ, მხარს უჭერენ ომს უკრაინის წინააღმდეგ, ამბობენ: „ეს არის ანტიპუტინური, ანტირუსული პროპაგანდის მცდელობა. ეს არაფერს არ ნიშნავს“. ეს ხალხიც კი გულის სიღრმეში დისკომფორტს განიცდის.

რუსეთის პოლიტიკური ელიტა მიმდინარე მოვლენების რეალურობასა და მნიშვნელობას ბევრად უკეთესად ხედავს. ელიტის წარმომადგენლებმა შეიგნეს, რომ პუტინის მხარდაჭერა ნიშნავს ერთ რამეს: ამა თუ იმ დონეზე მათაც დამნაშავეებად აღიარებენ. ეს მოასწავებს, რომ ბიზნესის კეთება, განათლება, დასვენება და მკურნალობა დასავლეთში მათთვის შეუძლებელი ხდება.

დაპატიმრების ორდერის შემდეგ გამოიკვეთა, რომ პუტინი არ არის ლიდერი, რომელსაც საკუთარი გარემოცვა რაღაც მიღწევებისაკენ მიჰყავს, არამედ, ეს არის დიდი ტვირთი, რომელიც ცხოვრებას აძნელებს.

ეს ძალიან სერიოზული ცვლილებებია. თვითონ პუტინი ძალიან გამწარებულია. ის თავს გრძნობს მგელივით, რომელსაც მონადირეები დასდევენ. მას აქვს განცდა, რომ ალყაშია და გარშემო წითელი პატარა დროშები შემოავლეს. ამის გამო ის უფრო გაავებულია.

მგონია, რომ ეს ორდერი ობიექტურადაც ბევრს ნიშნავს. ეს არის რუსეთის ხელმძღვანელობის სამხედრო დანაშაულებზე პროცესის რეალური დასაწყისი. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს იმის მაუწყებელია, რომ ველარ მოახდენენ უკრაინელი ბავშვების ძალადობრივ რუსიფიკაციას. როგორც ვიცი, ამ ბავშვების ნელ-ნელა და გაუხმაურებლად დაბრუნება უკვე დაწყებულია. როგორც აღვნიშნე, დაპატიმრების ორდერს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ელიტებისათვის. მათ წინანდელზე მკაფიოდ გაიაზრეს ომის დანაშაულებრივი ბუნება და საკუთარი კავშირი მასთან.

***– კიდევ ერთი ბოლოდროინდელი ხმაურიანი მოვლენაა პროპაგანდისტ ტატარსკის მკვლელობა. არსებობს ვერსია, რომ ეს მკვლელობა კრემლის ინსპირირებულია. ამბობენ, რომ კრემლის ამოცანაა ყურადღების გადატანა წარუმატებლობებიდან ფრონტზე. თქვენ როგორ უყურებთ ამას?***

– ეს მკვლელობა გამოსაძიებელია. უგუნურება იქნებოდა იმით სპეკულირება, თუ რომელი ვერსია უფრო მომწონს. შემიძლია, ერთი რამ ვთქვა – კრემლისათვის ეს მკვლელობა ძალიან უსიამოვნო მომენტია.

ეს ადამიანები აღმოჩნდნენ დიდი დარტყმის ქვეშ ფრონტზეც და ზურგშიც. ვინ იყო თავდამსხმელი – „კგბ“-ს პოლიტიკური დაჯგუფება თუ ომის მოწინააღმდეგეები – ეს ვერავინ გაიგო.

***– კრემლის პროპაგანდისტები აშკარად ღელავენ უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევის გამო. კრემლის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა თუ არის შეშინებული?***

– რასაკვირველია, შეშინებულია. დუელის დროს მორიგეობით ისროდნენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსმა გაისროლა და მიზანს ააცილა. ახლა უკრაინელის ჯერია. რუსი დუელიანტი საშინელ დღეშია.

კრემლში შიშობენ, რომ უკრაინელები დიდ წარმატებას მიაღწევენ. ეს გამოიწვევს კოლოსალურ შედეგს, პუტინის წასვლის ჩათვლით.

გარდა იმისა, რომ პუტინის დაპატიმრებაზე ორდერი გაიცა, ომი უკრაინაში რუსეთისთვის აღმოჩნდა არა ბლიცკრიგი, როგორც ჩაფიქრებული იყო, არამედ, მძიმე, გაჭიანურებული, ძალიან სისხლისმღვრელი ომი. ამ ყველაფრის შემდეგ რუსეთი აღმოჩნდა გარიყული საერთაშორისო თანამეგობრობისაგან. ამ სიტუაციაში ჩინეთსაც კი უნდა რუსეთის ფედერაციისგან დისტანცირება. პუტინი დაბრკოლება ხდება.

# „რა უნდოდათ, რას ჩიჩქნიდნენ ამ მიწას! რიკოთზე გააქტიურებულია მეწყრული პროცესები“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რაკოს, რა ხდება და როგორ ხდება. მესმის, არ უნდათ, რომ გაამხილონ, მაგრამ, ვურჩევ, გაამხილონ. ყველამ ისედაც ვიცით, რაც ხდება. ეს ხომ პირველი კურსის გეოლოგიაა. გრავიტაციაა, გარემო მიდის სტაბილიზაციისკენ. სად წავა? ჰაერში ხომ არ წავა მიწა? წამოვა ქვევით. რომ გამოთხრი და გამოჩიჩქნი, საით წავა, მთები ზევით ხომ არ ივლის? ქვევით მოდის. ეროზიულად ისედაც ქვევით მოდის და, შენ რომ ამ პროცესს აჩქარებ, შეუქცევადს ხდი, აჩქარებ მეწყრულ პროცესებს. ჩამოთლილი აქვს გვერდები, მთლიანად მოჭრილი. არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ახლაც სანაპიროზე გამოვიარე თბილისში და აქაც ანალოგიურს აკეთებენ! აღარ დარჩნენ ამ ქვეყანაში გეოლოგები. ხალხო, იურისტები გვიწყვეტენ, სად რა უნდა აშენდეს, ასეთი არაფერი არ გამიგია. მეწყრულ მთებს რომ ჭრიან, ცოტა ტვინი არ უნდა დაატანონ, რას აკეთებენ?! ამ გარემოს ვერ მოირგებ შენს ჭკუაზე. შენ უნდა მოერგო. არ შეიძლება ასე დეზების ყღარუნი გარემოსთან! ძალიან სამწუხარო რეალობის წინაშე ვართ.

# რუს მედესანტეებს ახალი იარაღი გადასცეს

პუტინს შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა. უკრაინაში შეჭრა მის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა. პუტინი დარწმუნებული იყო, რომ კიევს სამ დღეში აიღებდა. ამის შემდეგ უკრაინაში შეიქმნებოდა ახალი მთავრობა. პრეზიდენტის პოსტს კვლავ ვიქტორ იანუკოვიჩი დაიკავებდა, პრემიერისას კი – პუტინის ნათესავი ვიქტორ მედვედჩუკი. ამის შემდეგ გაფორმდებოდა კავშირი უკრაინა-რუსეთი-ბელორუსი. შემდეგ მას შეუერთდებოდნენ უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი. იზოლაციაში მოქცეული პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები იძულებულნი იქნებოდნენ, რუსეთს დანებებოდნენ. ამრიგად ევროპაში საზღვრების ხელახალი გადანაწილება მოხდებოდა რუსეთის სასარგებლოდ, ნატოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია კი შემცირდებოდა. ფაქტობრივად, აღდგებოდა ანდროპოვის დროინდელი ევროპის ფინლანდიზაციის გეგმა. ამას, ბუნებრივია, ჯაჭვური რეაქცია მოჰყვებოდა. ჩინეთი შეიჭრებოდა ტაივანში. შედეგად აღმოსავლეთშიც ამერიკელთა პოზიცია შესუსტდებოდა.

– ამრიგად, უკრაინის დაცემას აშშ-ის პოზიციების მკვეთრი შესუსტება და რუსეთ-ჩინეთის გავლენის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა, – წერს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

რუსების შეჭრას უკრაინაში უმაგალითო პატრიოტული აღტყინება მოჰყვა. რუსი ოკუპანტები გააძევეს ჯერ კიევსჩინიდან, შემდეგ – ხარკოვის ოლქიდან. უკრაინულმა არმიამ დაიბრუნა ხერსონი. ამრიგად, გეოპოლიტიკური ვითარება მართლაც შეიცვალა, ოღონდ უკვე რუსეთის საზიანოდ. პუტინი ომში დამარცხებისა და, მაშასადამე, თავისი პოლიტიკური კარიერის დასასრულის საფრთხის წინაშე დადგა. ასეთ შემთხვევაში რუსეთის დიქტატორი დონბასისა და ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების ოკუპაციას შეეცადა. იქ პუტინს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. რუსეთის არმიას ისეთი გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა დონბასში (ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა, სოლედარი), რომ დონბასის პარალელურად უკრაინის სამხრეთში ფართომასშტაბიან იერიშზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო. ავდეევკის „კოტიოლში“ მოქცევის გეგმები ჩაიშალა. რუსებმა ვერც მარინკა აიღეს და ვერც ბახმუტი. მეტიც, ბახმუტთან „ვაგნერელთა“ ბანდებმა ისეთი დარტყმა იგემეს, რომ სანახევროდ განადგურდნენ კიდეც. პუტინიც იძულებული გახდა, ბახმუტთან სადესანტო ნაწილები გადაესხა.

რუს მედესანტეებს ახალი იარაღი დაურიგეს. ესაა „სოლნცეპიოკის“ საზენიტო დანადგარები. მედესანტეებს ასეთი შეიარაღება არ ეკუთვნით, მაგრამ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია. რაკი ბახმუტის აღება ვერ ხერხდება, აუცილებელი გახდა ქალაქის მიწასთან გასწორება. ასეთ ტაქტიკას რუსები ჯერ კიდევ სირიაში იყენებდნენ. ახლა ბახმუტის, ავდეევკისა და მარინკის ჯერი დადგა.

– ამრიგად, რუსეთმა ტაქტიკა უკვე მერამდენედ შეცვალა. დღეს უკვე საუბარია არა ავდეევკის, მარინკის ან ბახმუტის აღებაზე, არამედ ამ ქალაქების განადგურებაზე, – წერს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ოლეგ ჟდანოვი.



განუწყვეტელმა შეტევებმა რუსეთის არმიას სიქა გააცალა. უდიდესი დანაკარგებია მედესანტეებს შორისაც. ასეთ სიტუაციაში პუტინი წავიდა იმაზე, რომ მედესანტეებს „სოლნცეპიოკის“ დანადგარები გადასცა. რუსეთის დიქტატორი პანიკაშია. დაღუპული რუსი ჯარისკაცების რაოდენობამ უკვე 185.000-ს გადააჭარბა. კუთხეში მიმწყვდეული პუტინიც უკვე ყველაზე გიჟურ ბრძანებებს გასცემს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# კრემენოეს მახლობლად, ტყის მასივში, ბრძოლებია



დონბასში გააფთრებული ბრძოლებია. ბახმუტის გარდა, მათი მთავარი ეპიცენტრია ავდეევკა, მარინკა და ლიმანის მიმართულება (კრემენოე).

კრახი განიცადა რუსი ოკუპანტების მცდელობამ, აეღოთ მარინკა ან „კოტიოლში“ მოექციათ ავდეევკა. ამ ქალაქებში ვითარება ბევრად უკეთესია, ვიდრე ბახმუტში, თუმცა მდგომარეობა რთულია. რაც შეეხება ლიმანის მიმართულებას, იქ რუსებმა სატანკო იერიშის განხორციელება ცადეს. შეტევა მოიგერიეს, რუსული სატანკო კოლონა კი განადგურდა. მიუხედავად ამისა, რუსებმა შეძლეს რიგი დასახლებული პუნქტის დაკავება. კრემენოეს მახლობლად, ტყის მასივში, ბრძოლებია.

უკრაინის სამხრეთში ვითარება შეიცვალა. უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად ოკუპანტები კომბურგის რკალიდან განდევნეს. ამან რუსების მდგომარეობა დაამძიმა.

გრძელდება აფეთქებათა სერია ხერსონში, აგრეთვე ზაპოროჟიეს ოლქის ოკუპირებულ ნაწილში. პასუხად ყირიმში რუსმა ოკუპანტებმა მასობრივი რეპრესიები დაიწყეს. მოქალაქეთა ბინებში შეჭრა, დაპატიმრებები და დახვრეტები ყოველგვარი ორდერის გარეშე უკვე ნორმად იქცა. უკანასკნელ ხანს ამას მასობრივი დეპორტაციებიც მიემატა. პროუკრაინულად განწყობილ მოქალაქეებს აკავებენ და რუსეთში გადაჰყავთ.

დეპორტირებული უკრაინელების ნაცვლად ოკუპანტებს რუსეთიდან შემოჰყავთ მოქალაქეები და ცდილობენ, ცარიელი ადგილები მათით შეავსონ, ომში დახოცილი უკრაინელი კოლაბორაციონისტების ნაცვლად კი რუსი ჩინოვნიკები ინიშნებიან. უკრაინის ოკუპირებულ სამხრეთ რეგიონებში მასობრივად შემოაქვთ პრორუსული ლიტერატურა, ისტორიის სახელმძღვანელოები. სკოლებშიც სწავლება ამის მიხედვით ხდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ავარია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე




ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სამტრედიის ქუჩის კვეთასთან.

ინფორმაციას ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ავრცელებს.

მომხდარის გამო მოძრაობა გადატვირთულია დიდუბიდან მარცხენა სანაპიროზე ჩამსვლელი გზის მონაკვეთზე.

ჯერჯერობით დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# საგამოძიებო სამსახურმა მარტში უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 36 ფაქტი გამოავლინა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, უწყების თანამშრომლებმა 2023 წლის მარტში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 36 ფაქტი გამოავლინეს, რაზეც ბრალდებულის სახით 39 პირი პასუხისგებაში მისცეს, მათგან 18 პირი დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების, ჯამში, 36.180 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 177.000 ლარს აღემატება.

აღნიშნული დანაშაული ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, თავისუფლების აღკვეთით 6-დან 8 წლამდე ვადით.

# პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო



პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია 16 პირი.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დეპარტამენტის, გურიის პოლიციის დეპარტამენტის, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალა და ნარკოტიკები ამოიღეს – დაკავებულია 16 პირი, 1 კი მხილებულია.

დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომანქანების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 9 პისტოლეტი, 2 რევოლვერი, 3 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, კარაბინი, შაშხანა, 8 მჭიდი, სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 1.860 ვაზნა, ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი“, 2 გადაჭრილი სანადირო თოფი, ასევე, ნარკოტიკული საშუალებები.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

# „მხარს ვუჭერთ საქართველოს კეთილსინდისიერ, პროფესიონალ მოსამართლეებს“ — 10 ქართველი მოსამართლის საქმიანი ვიზიტი აშშ-ში

ამერიკის საელჩოს განცხადებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის 10 ქართველი მოსამართლე აშშ-ში საქმიანი ვიზიტით იყო ჩასული. USAID-ის პარტნიორობით, ვიზიტის ფარგლებში მოსამართლეები დაესწრნენ სასამართლო სხდომებს და შეხვდნენ აშშ-ის სასამართლო ექსპერტებს, ასევე ესტუმრნენ სიტყვის თავისუფლების ინსტიტუტს და ჟურნალისტთა კომიტეტს პრესის თავისუფლებისთვის, რათა მიეღოთ ინფორმაცია გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და იმ გამოწვევების შესახებ, რასაც ჟურნალისტები აწყდებიან.




საელჩოს ცნობით, მედიასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვის მიზნით მოსამართლეები ასევე შეხვდნენ New York Times-ის წარმომადგენლებს. მათ, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ, დაჰკვირვებოდნენ დავის განხილვას აშშ-ის ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში და მიეღოთ ღირებული ინფორმაცია სააპელაციო პროცესების შესახებ.

საელჩო ამბობს, რომ სასწავლო ვიზიტისთვის ღია კონკურსში მონაწილეობა სამოცმა კანდიდატმა მიიღო. შერჩეული მოსამართლეები საქართველოს შვიდ სხვადასხვა სასამართლოს წარმოადგენენ.

– შეერთებული შტატები ამაყობს, რომ მხარს უჭერს საქართველოს შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერ, პროფესიონალ მოსამართლეებს, რომლებიც მუდმივად მზად არიან, დაიცვან და აღასრულონ კანონი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. აშშ-ის საელჩო ხელს უწყობს მოსამართლეებს, გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას და უზრუნველყონ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა სასამართლო დარბაზებში. ეს ყველაფერი კი უფრო დემოკრატიული და თანასწორი საზოგადოების განვითარების წინაპირობაა, – წერია საელჩოს განცხადებაში.

საელჩოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს მოსამართლეებს და სამართლის სფეროს სხვა პროფესიონალებს, მიიღონ დასაბუთებული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ზეწოლისა და გარე გავლენისგან.

# მარნეულში მაღაზია გაქარცვეს

მარნეულში სასურსათო მაღაზია გაქურდეს. წაღებულია დიდი ოდენობით თანხა და პროდუქტები. ჩამსხვრეულია მინებიც, საიდანაც, სავარაუდოდ, მაღაზიაში შევიდნენ. ამოღებულია სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, სადაც კარგად ჩანს, როგორ შედიან ნიღბიანი პირები მაღაზიაში.

მიუხედავად ამისა, პოლიციას დამნაშავეები დაკავებული არ ჰყავს. მოსახლეობა გახშირებულ კრიმინალურ შემთხვევებზე საუბრობს. მათი თქმით, ეს უკვე ამ კონკრეტული მაღაზიის გაქურდვის მესამე შემთხვევაა.

# სუს-მა ყალბი ვალუტის შეძენის, შენახვისა და გასაღების ფაქტზე ოთხი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ვალუტის შეძენის, შენახვისა და გასაღების ფაქტზე საქართველოს ოთხი მოქალაქე ნ.გ. ბ.ბ. ზ.ს. და ლ.ბ. დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას სუს-ი ავრცელებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივ ჯგუფში ჩართულმა პირებმა 2023 წლის მარტსა და აპრილში 3.050 აშშ დოლარის სანაცვლოდ გაასაღეს 6.100 აშშ დოლარის ყალბი კუპიურები, რის შემდეგაც ისინი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ გასაღებული ყალბი აშშ დოლარის კუპიურები არის მაღალი ხარისხის, მასზე ასახული პორტრეტები და ღირებულების აღმნიშვნელი ციფრობრივი ჩანაწერები შესრულებულია ღრმა მეტალოგრაფიული ბეჭდვის წესით და დამზადებულია სტამბურად.

გამოძიება მიმდინარეობს ჯგუფურად ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ფიზიკური დაპირისპირება ქუთაისის სკოლაში

არსებული ინფორმაციით, ქუთაისის მე-3 სკოლაში თანაკლასელებს შორის სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ერთ-ერთმა ბავშვმა დასახმარებლად მშობელს დაურეკა.

მოსწავლის მამამ დირექცია უყურადღებობაში დაადანაშაულა. მან კლასის დამრიგებელსა და სკოლის დირექტორს მომხდარზე პასუხი მოსთხოვა, რის შემდეგაც ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილი შენობაში მოსწავლეებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე არ საუბრობენ და მიზეზად ვნების კვირას ასახელებენ.

– ყველანი ჩაყენებულია საქმის კურსში, მაგრამ ერთი რამ მინდა, გითხრათ, ეს კვირა ისეთი დღეებია, გთხოვთ, რომ კომენტარის გარეშე. ბავშვს ეხება და ერთი რამ იცოდეთ, რომ მე-3 სკოლაში არცერთი ბავშვი ყურადღების გარეშე არ არის. არავის ბავშვი არსად არ გადაუყვანია. არავითარ შემთხვევაში (ბულინგის ადგილი არ ჰქონია), – ამბობს მარინა ლომთაძე, ქუთაისის მე-3 სკოლის სასწავლო ნაწილი.



ვნების კვირის მიზეზით საკითხზე არ საუბრობს არც ქუთაისის მე-3 სკოლის დირექტორი თამაზ ჭაბუკიანი.

– რომელი ჟურნალისტებიც არ იქნებიან, ყველას გავცემ მე პასუხს, დღეს ვიკავებ თავს. აღდგომების შემდეგ ვისაუბრებ. დღეს ვნების კვირაა, ეს სხვა კვირა არის, ხომ შეიძლება, რომ ეს კითხვები გადავდოთ რამდენიმე დღით. მე კანონი მავალდებულებს, რომ თუ რაიმე ინციდენტი ხდება სკოლაში, პატრულიც გამოვიძახო. დაასრულებს პოლიცია გამოძიებას, – ამბობს ის.

ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ ინციდენტი ნამდვილად მოხდა.

– რამდენიმე დღის წინ ორ მეოთხე კლასელს შორის მოხდა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ბავშვებს გარკვეული უთანხმოება ჰქონდათ, დამრიგებლის მიერ იმ დროსვე იყო რეაგირება. სამწუხაროდ, მშობლის მიერ იყო უკურეაქცია. მან შეურაცხყოფა მიაყენა პედაგოგებს, მანდატურის სამსახურს, შეიჭრა სივრცეში. ამის შემდეგ გამოძახებულ იქნა საპატრულო სამსახური, – ამბობს მაია ცქიტიშვილი, ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციული წესით, წვრილმანი ხულიგნობის მუხლით დაიწყო.

# საქართველოს 42 წლის მოქალაქე საბერძნეთში ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს



საბერძნეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს – ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ორშაბათს ჰერაკლიონის პროკურატურამ 42 წლის კაცის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ირკვევა, რომ კაცი ჰერაკლიონის ცენტრალური საპორტო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა დააკავეს, როდესაც მან პორტში შემოსული გემიდან 60 გრამზე მეტი ჰაშიშის შემცველი შეფუთვა მიიღო.

ბერძნული მედიის თანახმად, დაკავებული ამბობს, რომ პაკეტი ნაცნობის სახელით მიიღო და მისთვის ცნობილი იყო, რომ შეფუთვაში საკვები უნდა ყოფილიყო.

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცმა ყოფილი შეყვარებულის საქმრო საქორწინო საჩუქრით ააფეთქა



ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის მცხოვრებმა 32 წლის სარჯუ მარკამ ბომბი საქორწინო საჩუქარში ჩადო და მოკლა მამაკაცი, რომელიც მის ყოფილ შეყვარებულზე დაქორწინებას აპირებდა.

მამაკაცი 22 წლის ლალიტა მარვაის ხვდებოდა, მაგრამ მისგან უარი მიიღო, როდესაც გოგონას ხელი სთხოვა. მოგვიანებით მან შეიტყო, რომ მისი ყოფილი შეყვარებული ცოლად მიჰყვებოდა 22 წლის ხემინდრა მერავის.

– როდესაც გოგონას ოჯახის წევრები ქორწილის სამზადისში იმყოფებოდნენ, სარჯუმ სასიძოს ტელეფონზე დაურეკა და ეჩხუბა. ამის შემდეგ კი მისი მოკვლა გადაწყვიტა, – განაცხადეს პოლიციაში. სარჯუმ სიძე-პატარძალს მუსიკალური ცენტრი აჩუქა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩამონტაჟებული. ქორწილიდან რამდენიმე დღეში ლალიტამ და ხემინდრამ საჩუქრების გახსნა ნათესავების თანდასწრებით გადაწყვიტეს. როდესაც მათ მუსიკალური ცენტრი გახსნეს, ხემინდრამ მისი ამუშავება გადაწყვიტა. როგორც კი მან მუსიკალური ცენტრი ჩართო, ის აფეთქდა და ირგვლივ ყველაფერი დაანგრია.

აფეთქების შედეგად ხემინდრა და მისი უფროსი ძმა დაიღუპნენ. კიდევ ოთხმა ნათესავმა, მათ შორის წლინახევრის ბიჭმა დაზიანებები მიიღეს და ყველანი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. შემთხვევის მეორე დღეს პოლიციამ სარჯუ დააპატიმრა. მან საქორწინო საჩუქარში ბომბის ჩადება აღიარა. მას მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის ბრალდება წაუყენეს. აღსანიშნავია, რომ სარჯუმ ასაფეთქებელი მოწყობილობა თავადვე დაამზადა.

### უყურადღებობამ მამაკაცი კინაღამ მოგების გარეშე დატოვა




ამერიკის მიჩიგანის შტატის 62 წლის მკვიდრმა მამაკაცმა ლატარიაში გაიმარჯვა, მაგრამ უყურადღებობის გამო გამოტოვა სმს შეტყობინება, სატელეფონო ზარები და ამის გამო კინაღამ მოგებული 261 ათასი დოლარი დაკარგა.

მამაკაცის მიერ შეძენილმა ლატარიის ბილეთმა პირველ გათამაშებაში ვერ გაიმარჯვა, თუმცა ამის შემდეგ მას მეორე შანსის გათამაშებაში მონაწილეობის საშუალება მიეცა. მან იცოდა, რომ ახალ გათამაშებაში იღებდა მონაწილეობას, თუმცა არ უფიქრია, რომ შესაძლოა მისი გამარჯვებული გამხდარიყო და ამიტომაც მის შედეგებს არ დალოდებია.

ამერიკელმა რვა მარტს 261 ათასი დოლარი მოიგო, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ამის შესახებ არაფერი იცოდა. ბოლოს მან, როგორც იქნა, შენიშნა მის ელექტრონულ ფოსტაზე მოსული წერილი, რომელშიც ლატარიის ოფისში მისვლას სთავაზობდნენ. გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მას თავდაპირველად არც კი სჯეროდა, რომ მსხვილი თანხა მოიგო.

– ჩემი ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი შევამოწმე და ვნახე, რომ გამოტოვებული მქონდა წერილი და ზარები მოგების თაობაზე და რომ მოგების მისაღებად საბუთების წარსადგენად ერთი დღელა მქონდა დარჩენილი, – განაცხადა გათამაშების უყურადღებო გამარჯვებულმა.

მამაკაცმა დაუყოვნებლივ დარეკა ლატარიის ოფისში, წარადგინა აუცილებელი საბუთები და მალე მოგებული თანხა მიიღო. ის მოგებული თანხის საპენსიოდ გადადებას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაიდენი ჟურნალისტ გერშკოვიჩის დაკავების შესახებ



როგორც ცნობილა, რუსეთში დააკავეს გაზეთ „უოლსტრით ჯორნალის" ჟურნალისტი გერშკოვიჩი. ამ ფაქტს თავად აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი გამოეხმაურა.

– გერშკოვიჩის დაკავება კიდევ ერთი დადასტურებაა იმ უსამართლობისა, რომელიც რუსეთშია გამეფებული! – თქვა ბაიდენმა.

# ბლინკენი: „გადაწყვეტილებებს უკრაინის მთავრობა მიიღებს!"



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას ეხმარება და მომავალშიც დაეხმარება. ამავე დროს, მან აღნიშნა:

– გადაწყვეტილებას მომავალი კონტრშეტევის თაობაზე უკრაინის მთავრობა მიიღებს.

# ტრამპი ბაიდენის წინააღმდეგ



აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ტრამპმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ აშშ-ის პრობლემაა არა რუსეთი, არამედ ჩინეთი და პრეზიდენტი ბაიდენი.

– აშშ-ის დღევანდელმა ადმინისტრაციამ ქვეყანა მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე დააყენა, – ამბობს ტრამპი.

# უკრაინულმა არმიამ პრიგოჟინი სიცრუეში ამხილა



ბახმუტში ბრძოლები გრძელდება. რუსული ბანდიტური ფორმირება „ვაგნერის" შეფმა პრიგოჟინმა განაცხადა, რომ მისი ბოევიკები თურმე ბახმუტის 80%-ს აკონტროლებენ. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ჩერევატიმ პრიგოჟინი სიცრუეში ამხილა.

– ბახმუტს უკრაინული არმია აკონტროლებს! ვითარება მძიმეა, მაგრამ – კონტროლირებადი, – თქვა ჩერევატიმ.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

მასობრივმა რეპრესიებმა უკრაინელები კიდევ უფრო აღაშფოთა. რუსი ოკუპანტების რიგებშიც შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 3.646; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 7.043; არტილერია – 2.770; თვითმფრინავები – 307; განადგურებულია 188.050 ოკუპანტი.

ამრიგად, რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგებმა 180.000-ს გადააჭარბა. ასეთი ზარალი რუსეთს არც ავღანეთის, არც ჩეჩნეთის ორ ომში არ ჰქონია. საომარი მოქმედებები გრძელდება. მსხვერპლი ოკუპანტების რიგებში კიდევ უფრო გაიზრდება.

– კიდევ არაერთი რუსი ყმაწვილი ჩაწვება უკრაინულ მიწაში! რუსი დედები კი სამუდამოდ ძაძებს ჩაიცვამენ! – აცხადებს უკრაინული პატრიოტული მოძრაობის აქტივისტი ირინა ფარიონი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# შვიდი წლის გოგონამ თავისი წონის შესაბამისი ლოქო დაიჭირა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ პეკინის მცხოვრებმა შვიდი წლის გოგონამ დიდი ზომის ლოქო დაიჭირა, რომლის წონა თავად გოგონას წონას შეესაბამებოდა.

ლეილა საპი მამასთან ტაილერ საპთან ერთად ქალაქ ოლტონში გაემგზავრა მდინარე მისისიპიზე სათევზაოდ. მათ ლუზა ჩაუშვეს და სპინინგით შეუდგნენ თევზაობას, სატყუარად კი წვრილ თევზებს იყენებდნენ. შედეგად შვიდი წლის ლეილამ 22 კილოგრამიანი ლოქო დაიჭირა. ამავე დროს თავად გოგონას წონა 25 კილოგრამს შეადგენს, ასე რომ, მის მიერ დაჭერილი თევზი თითქმის მისი წონის აღმოჩნდა. გარდა ამისა, ლოქოს სიგრძეც გოგონას სიმაღლეს შეესაბამებოდა.

პატარა მეთევზის მამის თქმით, მისი გოგონა გაოგნებული იყო თავისი ნადავლით.

– მას ძალიან მოეწონა თევზის ჭერა. ეს უბრალოდ დაუჯერებელი იყო! ეს თევზი თითქმის ორჯერ აღემატებოდა საშუალო ნორმას, – განაცხადა გოგონას მამამ.

# პლაჟზე ჩაძინებულ მამაკაცს ნიანგი მიეპარა და დაკბინა



ავსტრალიის კუინზლენდის შტატში ნიანგი თავს დაესხა 65 წლის მამაკაცს და მას ფეხზე უკბინა.

მტაცებელი რეპტილია მამაკაცს იმ დროს მიეპარა, როდესაც მას პლაჟზე ჩაეძინა. დაშავებული სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

შტატის ბუნების დაცვის და მეცნიერების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბუნების დაცვის განყოფილების თანამშრომლები მომხდარზე გამოძიებას ჩაატარებენ. მან ასევე დაამატა, რომ დაშავებულმა მომხდარის თაობაზე საქმის კურსში არ ჩააყენა დეპარტამენტი და მოსახლეობას მოუწოდა, რომ მსგავსი შემთხვევის დროს ისინი დროულად ჩააყენონ საქმის კურსში.

– გაითვალისწინეთ, რომ ნიანგები ოკეანეშიც დაცურავენ და განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ღამის საათებში. კარვები ნაპირიდან 50 მეტრზე ნაკლებ მანძილზე არ გაშალოთ, – განაცხადა დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## მალამო მენტორი პირველი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

## სპრეი მენტორი 7

გრიპის, გაცივების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

**ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.**


## სპორტი

# თასის ფინალისტები ცნობილია, სუპერლიგას ახალი წევრი შეუერთდება



საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს ბათუმი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი შეხვდებიან. ოლიმპიურ სასახლეში ამ გუნდებმა ოთხთა ფინალის პირველი დაპირისპირებები მოიგეს და სატიტულო მატჩში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

ბათუმელებმა ნახევარფინალიდან გურჯაანის დელტა გამოთიშეს. არადა, კახეთის წარმომადგენელმა თამაში შედეგიანად დაიწყო და პირველ პერიოდში ლიდერობა არ დაუთმია. საწყისი 10-წუთეული გურჯაანელთა გამარჯვებით დასრულდა – 21:18. ამის შემდეგ უკვე ბათუმის ჯერი დადგა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მეორე ათწუთეული 26:11 მოიგო და დიდი შესვენებისთვის 12 ქულით გალიდერდა. აჭარლებმა ტემპი არც შესვენების შემდეგ დააგდეს და, რაც დრო გადიოდა, უპირატესობას ზრდიდნენ.

ბოლო პერიოდში ბათუმელთა ლიდერობამ 36 ქულას მიაღწია და შეხვედრამ აზრი დაკარგა, საბოლოოდ აჭარლები გამარჯვებამდე იოლად მივიდნენ და ფინალის საგზური მოიპოვეს – 107:74.

მატჩში საუკეთესო შედეგი ბათუმელთა ამერიკელმა ლეგიონერმა, კაილი რიდლიმ დააფიქსირა – 35 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა; ჯორდან სეშენმა 16 ქულა მოაგროვა; ბრენდონ ელსტონმა – 11; დელტაში 22 ქულით საუკეთესო შედეგი ვახტანგ ქადარიამ დააფიქსირა.

მეორე ნახევარფინალს 1.000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ოლიმპთან მატჩში საკუთარი გუნდის საქომაგოდ თსუ-ს უამრავი სტუდენტი მივიდა, რომლებმაც მსვლელობა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან დაიწყეს და გზად თავიანთი გუნდის ფერების შაშხანებს უშვებდნენ. მატჩის მსვლელობამ თსუ-ს გულშემატკივარს აქტიურობის მეტი მუხტი მისცა. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდი მოსაგებად იყო შემართული და არაფრის დათმობას არ აპირებდა.

პირველი პერიოდი თსუ-მ 27:25 მოიგო. 2-ქულიანი სხვაობა იყო დიდი შესვენებისთვისაც. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ ლიდერი მუდმივად თსუ იყო. მესამე პერიოდი სტუდენტებისთვის კიდევ უფრო შედეგიანი გამოდგა. გიორგი ცინცაძის აქტიურობით თსუ-მ 20:14 მოიგო პერიოდი და 8 ქულით დაწინაურდა.

ოლიმპი არ შეეპუა თსუ-ს გალიდერებას და ჩამორჩენა გააბათილა. თსუ-ს ყველაფრის ახლიდან დაწყება მოუწია, რაც მშვენივრად გამოუვიდა. უნივერსიტეტელებმა ბოლო წუთებზე მეტი სიზუსტე და დაცვაში დისციპლინა გამოავლინა, რის ხარჯზეც 87:84 იმარჯვა.

თსუ-ში საუკეთესო გიორგი ცინცაძე იყო, რომელმაც 21 ქულა, 8 პასი და 5 მოხსნა მიითვალა; 16 ქულა დააგროვა ბექა ბექაურმა; 14 ქულა ჯიმონ ჰენსონის ანგარიშზეა; ოლიმპში 17 ქულით, 6 მოხსნითა და 4 ჩაჭრით საუკეთესო იყო ობრი მაკალპინი; 18 ქულა და 10 პასი გივი ბაქრაძემ მოაგროვა;

ფინალურ მატჩში საქართველოს თასის მოსაგებად ბათუმი და თსუ ითამაშებენ.

აქვე გეტყვით, რომ მომავალი წლიდან სუპერლიგას ახალი წევრი შეემატება. შედეგად, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რეგიონის გუნდების რაოდენობა ხუთამდე გაიზრდება. 2023-24 წლების სეზონში ტყიბულს სუპერლიგაში საკუთარი გუნდი ეყოლება. საკალათბურთო კლუბმა ორბმა, რომელიც თბილისური ორგანიზაცია კი არის, მაგრამ მიმდინარე სეზონის წინ ტყიბულში გადავიდა, ა ლიგის ფინალური სერია მოიგო და სუპერლიგის საგზური მოიპოვა. ირაკლი ტომარაძისა და ნინო ყიფშიძის გაწვრთნილმა გუნდმა სერიის ოთხ მატჩში დაამარცხა გორის ივერიონი და ელიტის საგზური მოიპოვა.

ფინალური სერია ტყიბულელებმა 2 საშინაო გამარჯვებით გახსნეს და საბოლოო გამარჯვებაზე ხმამაღალი განაცხადი გააკეთეს. სერიის მომდევნო, მე-3 მატჩი ივერიონმა საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად მოიგო, რითაც ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ სერიაში საერთო ანგარიშის გასათანაბრებლად ძალა აღარ ეყო. ტყიბულელებმა მომდევნო და მათთვის გადამწყვეტი მატჩი უპრობლემოდ მოიგეს.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ტრადიციული ცერემონიალი, რომელზეც სუპერლიგის ახალი წევრის, ორბის მოთამაშეებს შესაბამისი მედალიონები, სიმბოლური საგზური და თასი ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე პაატა გურასპაულმა გადასცა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი ოფიციალურად შეიქმნა



საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ მუზეუმთა ჯგუფს – შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, საქართველოს ეროვნული გალერეა, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს – ახალი მუზეუმი შეემატა, რომელიც საფრანგეთში, საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ლევილის მამულის ბაზაზე ჩამოყალიბდა და მას ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი ეწოდა.

**ინფორმაცია საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გაავრცელა:**

– ლევილის მამულის საქართველოსათვის დაბრუნების სანოტარო აქტის პირობების შესაბამისად, შატოს პირველ სართულზე დაგეგმილია ისტორიული სივრცის მოწყობა, რომლის ნაწილშიც განთავსდება ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი, შატოს მეორე სართულზე კი მოეწყობა ნოე ჟორდანიას კაბინეტი. გათვალისწინებულია ბიბლიოთეკა-მედიათეკის, საგამოფენო და სარეზიდენციო სივრცეების მოწყობაც.

2021 წლიდან დღემდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ლევილის მამულში განახორციელა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები: დასრულდა ლევილის მამულის გალავნის ისტორიული ნაწილის რესტავრაცია-კონსერვაცია და ლევილის მამულის გუშაგის სახლის, რომელშიც დიდხანს ცხოვრობდა ემიგრანტი ქალბატონი ნამეტია გოგუაძე, სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაიწყო და გრძელდება ლევილის მამულის პარკის აღდგენა და კეთილმოწყობა, შეკეთდა სხვენის სახურავი, ჩატარდა ინვენტარიზაცია.

ამჟამად მიმდინარეობს ლევილის მამულის შატოს კონსტრუქციების სიმყარის კვლევა, მზადდება გამაგრების პროექტი და შატოს აზბესტისგან გაწმენდის, მისი სხვენისა და სახურავის სრული რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები.

ლევილის მამულში განთავსდება ქართული ოდასახლი, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე. ოდასახლში მოეწყობა დარბაზული სივრცე კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, გაიხსნება ქართული ტრადიციული სუვენირების მაღაზია. უკვე მოძიებულია ოდისთვის საჭირო ხის მასალა, რომლის შრობის დასრულებისთანავე დაიწყება მისი დამუშავება. ზაფხულსა და შემოდგომაზე ლევილის მამულში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიების გამართვა.

ლევილის მამულის სრული რეაბილიტაცია, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, 2026 წლის სექტემბერში უნდა დასრულდეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## განცხადებები

- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუტსალის ნაკრები ესტონეთთან ითამაშებს



საქართველოს ფუტსალის ნაკრები ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება. დღეს და ხვალ ჩვენი გუნდი ტალინში ესტონეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. მატჩები „კალევის“ დარბაზში ჩატარდება.

ავთანდილ ასათიანის გუნდმა მზადება თბილისში არასრული შემადგენლობით დაიწყო, ხოლო ტალინში 10 აპრილს ჩაფრინდა, სადაც შეკრება სრული შემადგენლობით განაგრძო.

ესტონეთთან მატჩებისთვის საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა 14 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარეები:** ზვიად კუპატაძე (გაზპრომ-იუგრა, რუსეთი), თორნიკე ბუკია (კსუ, თბილისი);

**წინა ხაზი:** შაგინია (მალიორკა, ესპანეთი), შოთა თოფურია, ვახტანგ კეკელია, ირაკლი თოდუა, ვახტანგ ჯვარაშვილი, გიორგი ქურდაძე (ყველა ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი), სიმი საიოტი (ელექტრიკო, პორტუგალია), ბრუნო გომესი (აპოსტოლი, ესპანეთი), ფერნანდო დრასლერი (ბეტისი, ესპანეთი), ბრუნო პეტრი (რიბერა ნავარა, ესპანეთი), გიორგი ჩიმაკაძე, ნიკა ხარატიშვილი (კსუ).

**13 აპრილი. ესტონეთი – საქართველო 20:30**
**14 აპრილი. ესტონეთი – საქართველო 15:00**

# მოჭიდავეების შემადგენლობა ცნობილია



17-23 აპრილს ხორვატიის დედაქალაქი ზაგრები მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ცნობილია საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ეროვნულ ნაკრებთა შემადგენლობები.

„თავისუფლებში“ ბევრი ცვლილებაა, ხოლო „კლასიკების“ გუნდში საკადრო სიახლეები ნაკლებია. გუნდში ვერ მოხვდა ვეტერანი ოლიმპიური პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი, ევროპის შარშანდელი ფინალისტი შმაგი ბოლქვაძე, ხოლო რამდენიმე წონაში გადანაცვლებებია.

„თავისუფალთა“ ნაკრებში კი 10 კაციდან 4 დებიუტანტია: რობერტ დინგაშვილი (57), შოთა ფარტენაძე (61), გიორგი ელბაქიძე (70) და ტარიელ გაფრინდაშვილი (86).

**საქართველოს ნაკრები**

**თავისუფალი ჭიდაობა:** რობერტ დინგაშვილი (57); შოთა ფარტენაძე (61); ედემი ბოლქვაძე (65); გიორგი ელბაქიძე (70); ავთანდილ კენჭაძე (74); ვლადიმერ გამყრელიძე (79); ტარიელ გაფრინდაშვილი (86); მირიან მაისურაძე (92); გივი მაჭარაშვილი (97); გენო პეტრიაშვილი (125).

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ნუგზარ წურწუმია (55); ფრიდონ აბულაძე (60); ლერი აბულაძე (63); ჯონი ხეცურიანი (67); რამაზ ზოიძე (72); იური ლომაძე (77); გელა ბოლქვაძე (82); ლაშა გობაძე (87); რობერტ კობლიაშვილი (97); იაკობ ქაჯაია (130).

# სიტი და ინტერი ნახევარფინალის გზას დაადგნენ

**სიტი-ბაიერნი 3:0**

**მანჩესტერი. ეტიჰად სთედიუმი**

1:0 როდრი (27), 2:0 სილვა (70), 3:0 ჰოლანდი (77)

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების ყველაზე დამაინტრიგებელი დაპირისპირება თითქმის ფორმალობად იქცა. მანჩესტერ სიტიმ დიდი ანგარიშით მორიგი გამარჯვება მიითვალა. ამჯერად მსხვერპლი მიუნხენის ბაიერნი აღმოჩნდა – 3:0.

უკვე პირველივე ტაიმში იგრძნობოდა მანჩესტერელთა უპირატესობა. არადა, ერთი შეხედვით თანაბარი თამაში იყო, მომენტების გარეშე. თუმცა, სიტის თამაშში მეტი ფანტაზია და აზროვნება ჩანდა, რაც შედეგს აუცილებლად მოიტანდა.

მოიტანა კიდეც – როდრიმ საჯარიმოს გარედან დააქუხა და „ქალაქელები“ დააწინაურა.

შესვენების შემდეგ სიტელთა უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი გახდა. ს იმ დროს, როდესაც გუნდმა პეპ გვარდიოლას ხელში ანტირეკორდი დაამყარა და საშინაო მატჩში ბურთს მხოლოდ 44% ფლობდა.

აი, დანარჩენ კომპონენტებში ბავარიელებმა ყველაფერში წააგეს. გუნდმა ფაქტობრივად ვერ შესძლო მეტოქის კართან მისასვლელი გზა მოეძებნა. სიტი მეტოქეს მათსავე ნახევარზე ახრჩობდა და, როგორც კი შეცდომას დაუშვებდა, იქვე ჟანგბადს გადაუკეტავდა. ბერნანრდუ სილვამ და ერლინგ ჰოლანდმა ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცეს. თუმცა, შესაძლოა, უფრო მეტიც ყოფილიყო, მაგრამ იან ზომერი ყოჩაღობდა.

საპასუხო მატჩში ბაიერნი სასწაულის იმედად უნდა იყოს...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ბერნარდუ სილვა**

სიტის მხრიდან ბევრის გამორჩევა შეიძლება და ყველამ მაღალ დონეზე ითამაშა. გამოვყავით სილვა – გოლისა და საგოლე პასის ავტორი. თუმცა, ისედაც არ აკლებდა სიმწვავეს მიუნხენელთა კარს.

**ხოსეპ გვარდიოლა:**

– როცა ამ ეტაპზე ხარ, უკეთ გრძნობ, რა დიდი გუნდია მიუნხენის ბაიერნი. 60 წუთის განმავლობაში დაძაბული მატჩი იყო და რიგ ეპიზოდებში მეტოქე ჩვენზე უკეთესი იყო. მაგრამ შემდეგ მეორე გოლი გავიტანეთ, რომელიც ძალიან დაგვეხმარა. აგრესიულად ვითამაშეთ, მეორე გოლი სწორედ ამიტომ გავიდა. როცა მათ სათადარიგოთა სკამს უყურებ, ხვდები, რომ არაფერიც არ დასრულებულა, საფრთხე ყველასგან მოდის. შედეგი ძალიან კარგია, მაგრამ წინ საპასუხო მატჩია, რომელიც სათამაშოა. ორი წელიწადი იქ გავატარე და მათი მენტალიტეტი კარგად ვიცი, ძალიან რთული 90 წუთი გველის.

**თომას ტუხელი:**

– ამ შედეგს არაფრით არ ვეთანხმები. ისეთ დროს დავისაჯეთ, როცა გუნდურად უკეთ გამოვიყურებოდით. უბრალოდ, დღეს სასტიკად დავისაჯეთ. ვფიქრობ, სანამ 0:2 გახდებოდა, ჩვენი თამაშის ხარისხი ძალიან კარგი იყო. საერთოდ, 70-ე წუთამდე გუნდი ძალიან კარგი იყო.

ჩემი აზრით, სამართლიანი იქნებოდა 1-2 გოლით ნაკლები რომ გაგვეშვა და ერთი გოლის გატანაც ნამდვილად დავიმსახურეთ. დღეს ჩემი გუნდი შემიყვარდა, ცუდი შედეგის მიუხედავად. შეიძლება უცნაურად ჟღერს, მაგრამ გუნდის თამაშით დღეს სიამოვნება მივიღე.

**ბენფიკა-ინტერი 0:2**

**ლისაბონი. და ლუში**

0:1 ბარელა (51), 0:2 ლუკაკუ (82პ)

ბოლო დროს იტალიაში გაკრიტიკებულ სიმონე ინძაგის ჟურნალისტები ცოტა სხვაგვარად დახვდებიან. როგორც ინტერმა მოიგო, ზუსტად იმ შესრულებას ჰქვია მწვრთნელის მიერ შერჩეული გეგმა. ინტერმა მეტოქის ძლიერი მხარეები გაანეიტრალა, ჩინებულად გამოიყენა საკუთარი კოზირები და, რაც მთავარია, გამოიყენა თითქმის ყველა საგოლე მომენტი...

პირველი ტაიმი ფრთხილი და თანაბარი იყო. ოდნავ უკეთ ინტერი გამოიყურებოდა, მაგრამ დიდად თვალშისაცემი უპირატესობა არ ჰქონია. პლუს უფრო ორგანიზებული და გამიზნული გუნდი ჩანდა.

ლისაბონელები მოედანზე დამუხტულები მეორე ტაიმში გამოვიდნენ და საწყისი წუთები აქტიურად ჩაატარეს. თუმცა, კონტრშეტევაზე ნიკოლას ბარელას გოლი გაეპარათ და...

ამის შემდეგ ბენფიკას მხოლოდ სუმბურული შანსები ჰქონდა. მომენტსაც ვერ დაარქმევდი. ინტერი კი კონტრშეტევებზე მწვავე იყო, რასაც თან დაერთო, რომ ინტერის ყოფილმა ფეხბურთელმა და ბენფიკას ახლანდელმა



კაპიტანმა ჟოაო მარიუმ საჯარიმოში ხელით ითამაშა და რომელუ ლუკაკუმ მილანელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა – 0:2.

ერთადერთი, რაც ბენფიკას შეეძლო, სხვაობის შემცირება იყო, როდესაც ბოლო წამებზე რამუში მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მომენტი ვერ გამოიყენა. საბოლოო ანგარიში ინტერის ნახევარფინალში გზას უფრო გასცქერის...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ნიკოლა ბარელა**

ასეთი თამაში ბარელას ბოლო თვეებია ნამდვილად არ უჩვენებია. თითქოს ჩაკარგული გუნდს ლიდერად მოევლინა: იყო ყველგან, მუშაობდა ჭკვიანურად და გუნდს მოედნის ცენტრალურ ნაწილში საჭირო დინამიკას აძლევდა. პირველი გოლი კი მატჩის გარდამტეხი გამოდგა.

**სიმონე ინძაგი:**

– შესანიშნავი თამაში იყო, დიდებული გუნდის წინააღმდეგ ცხელ სტადიონზე. პირველი რაუნდი დასრულებულია, გუნდმა აჩვენა, რომ ყველას წინააღმდეგ თამაში შეუძლია. სერია ა-ს ბოლო რამდენიმე შეხვედრაში კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ დღევანდელი გამარჯვებით ვტკბებით. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი 90 წუთი იყო. ნამდვილად არავის მიმართ არ მაქვს რევანშისტული განწყობა. ვმუშაობ ინტერის სასიკეთოდ, სწორია კრიტიკის მოსმენა, მაგრამ ყოველთვის უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ უკეთესები გავხდეთ. ორივე ფაზაში ძალიან კარგები ვიყავით, 7 დღეში საპასუხო მატჩი იქნება, რომელსაც სწორად უნდა მივუდგეთ. ფიორენტინასთან, იუვესა და სალერნიტანასთან უფრო მეტს ვიმსახურებდით. დღეს საღამოს გუნდურად ვიმუშავეთ. აპრილის შუა რიცხვებია და ყველა ტურნირზე ვთამაშობთ.

**როჯერ შმიდტი:**

– რთული თამაში იყო. ორივე გუნდს ჰქონდა ერთნაირი მომენტები, სამწუხაროდ, ინტერმა ისინი გამოიყენა. პირველი გოლის შემდეგ თამაშში დავრჩით, ფეხბურთელებმა ყველაფერი გაილეს, იბრძოლეს, კარგი მომენტები შევქმენით, მერე კი პენალტი მივიღეთ. შინ 0:2 წაგება კარგი არასდროსაა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ერთი ტაიმი მორჩა. თავი უნდა ავწიოთ, წინ წავიდეთ და საკუთარი თავის გვჯეროდეს. პენალტზე არ გაგვიმართლა, მსაჯს შეეძლო 1-2 პენალტი ჩვენს სასარგებლოდაც დაენიშნა, მაგრამ ეს უნდა მივილოთ. მეტოქე ეფექტური იყო. რა თქმა უნდა, საპასუხო მატჩში შეგვიძლია სიტუაციის შეცვლა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ბარსელონა მესის დაბრუნებას გეგმით შეეცდება

ლიონელ მესის ბარსელონიდან ოფიციალური შემოთავაზება ჯერ არ აქვს, მაგრამ კატალონიურ კლუბს მისი დაბრუნება ძალიან სურს და ტრანსფერზე მუშაობს. ჩავი ერნანდესმა უკვე ზუსტად იცის, არგენტინელი როგორ გამოიყენოს და ფიქრობს, რომ ის გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს.

ესპანურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ბლაუგრანა“ ლა ლიგას გეგმას წარუდგენს, რომ ლეოსა და სხვა სატრანსფერო სამიზნეების დამატება შეძლოს. ბარსას გასახდელში ამბობენ, რომ მესის დაბრუნება ძალიან უნდათ და ყველაფერს გააკეთებენ, რომ ტრანსფერი შედგეს. ბარსელონაში ლეო კვლავ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნიათ და ეჭვები არ აქვთ. გუნდში ამბობენ, რომ არგენტინელი სჭირდებათ და მისი დაბრუნება დიდებული იქნება. ბარსელონა მესისთან ახალ ურთიერთობას იწყებს. არგენტინელი ისეთი ადამიანი არ ჩანს, რომელსაც ისეთ ადგილას ყოფნა უნდა, სადაც არცთუ ისე ძალიან უყვართ. პარიზისგან განსხვავებით, ბარსელონას ლეოს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას გახსენება



**ჩემო სანატრელო მიმოზა!**

დღეს, 16 აპრილს, შენს სასაფლაოზე შეკრებილნი, ვინც შენ გიყვარდა, ვისაც შენ უყვარდი და უყვარხარ, გილოცავთ დიდსა და სასიხარულო დღესასწაულს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას. ეს საზეიმო მილოცვა გამოსახავს არსს, ჩვენს რწმენას, ჩვენი სასოების სიმტკიცესა და უდიდესი ძალით ჩვენს შენდამი საუკუნო სიყვარულს. ყოველწლიურად ზეიმით ვეგებებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც მუდამ ახალი, ადრინდელისაგან განსხვავებული სიხარული მოაქვს. ესაა განცდა მარადიული ნეტარებისა. ყოველ წელს ჩვენს გულებში ინთება ახალი კანდელი, ცათა სასუფევლისკენ ჩვენი მომავალი გზის გამანათებელი. ვდღესასწაულობთ სიკვდილის დათრგუნვასა და მარადიული ცხოვრების დაწყებას, ვივიწყებთ მიწიერ განსაცდელს და წარმავალი წუთისოფლიდან თვალი მარადიულობისკენ გვაქვს მიპყრობილი, სადაც შენ გვეგულები. ვიგონებთ შენი სიცოცხლის ლამაზ ათეულ წლებს, დღეებსა და წუთებს, შენს ალერსს, მოფერებასა და ღიმილიან სახეს, ვიგონებთ გარდაცვლილ მშობლებს, დედმამიშვილებს, სისხლხორცნათესავებს, მეგობრებს, წინაპრებს, რომელთა სულები ცათა საუფლოში არის დავანებულნი და შენი მარად მლვიძარე სულიც მათთან ერთად მარადიულობაში განაგრძობს ცხოვრებას, თუმცა არც მე გავიწყდები, დროთა ინტერვალობით გამოჩნდები, მესმის შენი ფეხის ხმა ცხადად თუ სიზმრად, გვესმის ერთმანეთის, მესმის, გალიმებული მეუბნები: „კვლავინდებურად გიყვარვარ!“, შენთვის ვლოცულობ, ჩემო ძვირფასო, უფლის ნაჩუქარო მიმოზა! მუდამ მახსოვს შენი ღიმილი, დამტევნელი სიბრძნისა, წყალობისა, სიყვარულისა და, რაც მთავარია, მარადიულობისა, რადგან სიცილიც და ტირილიც დროებითია და წარმავალი და მხოლოდ ღიმილია მარადიული.

შენდამი სიყვარულით გამთბარი, გულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქრისტე აღსდგა!

*გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. მეფის საჭმლის გამსინჯავ-შემმოწმებელი ძველად საქართველოში; 3. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 4. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 5. ტროის აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მილიონერი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ლატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ქართველი მოქანდაკე ქალი; 13. ძვირფასი ლითონი; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. პატარა თავებად შეკრული თეთრი ან ყვითელი ფერის ყვავილების მსხმოიარე მერქნიანი მცენარე; 20. სასიგნალო კოშკი ზღვის სანაპიროზე.

**თარაზულად:** 6. თამარ მეფის დედის სახელი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება აშშ-ში; 10. ქართული ძილისპირული; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. სასტუმრო თბილისში; 15. ფრანგი პოლიციელი; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. მტრედის ბარტყი; 23. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯილაგი; 2. მიდია; 3. ღვინიო; 4. ხვამლი; 6. შტრაუსი; 9. გრევი; 11. გუდაური; 15. რუდიმენტი; 16. ტეკილა; 17. პოლიგონი; 19. აბსურდი; 21. გაბროვო; 22. ანდები.

**თარაზულად:** 5. ჰიდრანტი; 7. ტრამვაი; 8. მადონა; 10. არიფანა; 12. ლანჩი; 13. სტუკო; 14. ნოვარტისი; 18. აბაშა; 20. ტენორი; 23. ანემია; 24. ბალი; 25. მალაგა; 26. ბუტი; 27. კვაზარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნუსხური; 2. თარხანი; 3. სარდინია; 4. ლომისა; 5. ლოკპიდი; 8. მოზაიკა; 9. სალივანი; 12. ალავერდი; 13. კაზუარი; 16. ნადირაძე; 17. ტავრიდა; 19. რწყილი; 20. ნაბუკო.

**თარაზულად:** 6. კურლანდია; 7. ბოსფორი; 8. მოდული; 10. გუანაკო; 11. ჟიგა; 14. აკაპულკო; 15. ზარზუელა; 18. ქაშერი; 21. წერაქვი; 22. ბალჩა; 23. ირონია; 24. ტელესკოპი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

13 აპრილი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.5261

ევრო — 2.7605

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1374

100 რუსული რუბლი — 3.0737

**ამინდის პროგნოზი 13 აპრილისათვის**




## გვარდიოლა: „იდეალური შეხვედრა ჩავატარეთ“



მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე ბაიერნი დაამარცხა 3:0 და ნახევარფინალში გასასვლელად დიდი ნაბიჯი გადადგა. სიტის მთელი მატჩის განმავლობაში ჰქონდა უპირატესობა და მათ სრულიად დამსახურებულად მოიგეს. გვარდიოლას თქმით, ჯერ ყველაფერი დასრულებული არ არის: „შესანიშნავად ვითამაშეთ და ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჯერ ყველაფერი დასრულებული არ არის და წინ 90 წუთია. საკუთარ მოედანზე ბაიერნი ძალიან ძლიერია“.

## სიმონე ინძაგი: „თითქმის ნახევარფინალში ვართ“



ინტერმა სტუმრად ბენფიკა დაამარცხა 2:0 და თითქმის გაინალდა ნახევარფინალში თამაში. შეხვედრის შემდეგ ინტერის მთავარმა მწვრთნელმა სიმონე ინძაგიმ თქვა, რომ კმაყოფილია გუნდის თამაშით და მათ თითქმის უკვე შეასრულეს თავიანთი ჩანაფიქრი: „მიხარია, რომ მოვიგეთ. ყოველთვის ვცდილობთ, საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ, თუმცა ეს ზოგჯერ არ გამოგვდის. მინდა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ და ეს არარეალურად არ მეჩვენება“.

## პედრი 10 დღეში დაბრუნდება



ბარსელონის ახალგაზრდა ნახევარმცველმა პედრიმ ტრავმა მოიშუშა და მოედანზე, სავარაუდოდ, 23 აპრილს დაბრუნდება, როდესაც ბარსელონა საკუთარ მოედანზე ატლეტიკოს მიიღებს. პედრიმ ტრავმა თებერვალში მიიღო და ორ თვეზე მეტი გაუცდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება უსმან დემბელე, რომელიც ასევე დიდი ხანია ტრავმირებულია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მარი ყულიჯანიშვილმა იტალიაში გრან პრი მოიგო



ქართველმა ბალერინა მარი ყულიჯანიშვილმა იტალიის ქალაქ ლეჩეში გამართულ საერთაშორისო საბლეტო კონკურსზე მთავარი პრიზი – გრან პრი მოიგო.

ინფორმაცია ბეთი მოწონელიძემ გაავრცელა:

– ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლემ, კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილემ, 12 წლის მარი ყულიჯანიშვილმა იტალიის ქალაქ ლეჩეში საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ასახელა ჩვენი სასწავლებელი როგორც კლასიკურ ვარიაციებში, ასევე თანამედროვე ცეკვაში! გრან პრი! კონკურსის საუკეთესო ბალერინას წოდება, პირველი ადგილი და ოქროს მედალი თანამედროვე ცეკვაში!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

კაცს ძმა გარდაეცვლება. პანაშვიდზე ყველა მოსთქვამს, მიცვალებულს დასტირის, ის კი ხმას არ იღებს. ბოლოს ერთი ნათესავი ეუბნება:

– ბიჭო, თქვი რამე, ხმა ამოიღე.

– ვაა, ვირო, დაირტყი ახალი „ტუფლები“?!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემ ცოლს ვიღაც ფრანგთან შევუსწარი.

– მერე რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა, მე ერთი სიტყვა ფრანგული არ ვიცი, იმან კიდევა ქართული...

●●●

შვილი დედას ურეკავს:

– დედა, ქმარი მღალატობს და როგორ მოვიქცე?

– საიდან მოიტანე?

– გუშინ, სახლში მოსულს, ჯიბეში ქალის ტრუსი ვუპოვე, დღეს კი ჯიბეში ბიუსტჰალტერი ედო.

– შვილო, ჯერ არაფერი მოიმოქმედო...

– რატომ?

– დაელოდე, ბეწვის ქურქი მოიტანოს!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ნათელა რომ გიყვარდა, ცოლად მოიყვანე?

– არა, მითხრა, რომ ღარიბი ხარ და არ გამოგყვებიო.

– კი მაგრამ, შენ ხომ მდიდარი ბიძა გყავს. თუ უთხარი?

– ვუთხარი...

– მერე?

– ჩემი ბიცოლა გახდა...

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– რაზე ფიქრობთ?

– იმაზე, რაზეც თქვენ.

– არც კი გაბედო, გარყვნილო!

●●●

ქმარი სახლში დაბრუნებულ ცოლს ეკითხება:

– აბა, რა გითხრა ექიმმა?

– ზღვაზე დასვენება გჭირდებაო, და სად წავიდეთ?

– სხვა ექიმთან!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– წავიდეთ, დავლიოთ.

– არა, აღარ ვსვამ.

– რატომ?

– შენ გასული წლის ზაფხული გახსოვს?

– კი.

– აი მე კი არა...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ლექს-სენი 20-წლიან მოღვაწეობას კონცერტით აღნიშნავს



რეპერი ლექს-სენი 20-წლიან სასცენო მოღვაწეობას 20 მაისს კონცერტით აღნიშნავს:

– 20 წელი სცენაზე, 20 წელი ლიდერობა, 20 წელი რეიტინგულობა, რეკორდული რაოდენობის კონცერტები, რეკორდული რაოდენობის გაყიდული ალბომები, რეკორდული რაოდენობის ჰიტები...

ჰოდა, მეგობრებო, წარმოიდგინეთ 20 წლის იუბილე 20 მაისს! რა მაგარი წარმოდგენა გელოდებათ.

## მარგარეტ დაიაურს ქართული მთის განვითარებისთვის სტიპენდია დაენიშნა



შატილში მცხოვრებ მხატვარ მარგარეტ დაიაურს ქართული მთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სტიპენდია დაენიშნა.

გიორგი კეკელიძე:

– „მთის ამბებთან“ ერთად ვაფუძნებთ სტიპენდიას „მთის ხმა“, რომელიც მაღალმთიან სოფელში მცხოვრებ ადამიანებს გადაეცემა, მათ, რომელთაც საკუთარი გამორჩეული წვლილი აქვთ შეტანილი ქართული მთის განვითარებაში.

პირველი სტიპენდიატი მარგარეტ დაიაური იქნება, გოგო, რომელიც შატილში დამკვიდრდა, ასწავლიდა და ახლაც იქ ცხოვრობს.

## ლევან კოღუაშვილის ფილმი საფრანგეთის კინოგაქირავებაშია



ქართველი რეჟისორის ლევან კოღუაშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ საფრანგეთის კინოგაქირავებაშია.

არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული ფილმის ნახვა საფრანგეთის 50 კინოთეატრშია შესაძლებელი.

ფრანგულმა კინოკრიტიკამ დიდი ყურადღება დაუთმო ქართველი რეჟისორის ფილმს და არაერთი ვრცელი სტატია მიუძღვნა.

„მეოთხე ბრაიტონი“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. მასში მთავარ როლს ლევან თედიაშვილი ასრულებს. ლევან კოღუაშვილის ნამუშევარი უკანასკნელი აღმოჩნდა მსახიობ კახი კავსაძისთვის.

„მეოთხე ბრაიტონი“ ქართველი მოჭიდავის – კახის შესახებ ამაღელვებელ ისტორიას გვიყვება, რომელიც ბრუკლინში ჩადის, რათა შვილს აზარტული თამაშების ვალის გადახდაში დაეხმაროს.

## ბიძინა მახარაძე იუბილარია



იუმორისტი ბიძინა მახარაძე იუბილარია. მან თავისი დაბადების დღე მოკრძალებულად უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

ბიძინა მახარაძე „იუმორინას“ უცვლელი წევრია და წლებია, თავისი ორიგინალური მონოლოგებითა და ისტორიებით ათასობით მაყურებლის გაცინებასა და მხიარულ განწყობაზე ზრუნავს.

– ერთად ცხოვრების წლების შემდეგაც კი ადამიანს სურს შეინარჩუნოს სიყვარული ოჯახში და ისევ და ისევ განიცადოს ის გრძნობები, რასაც ადრე გრძნობდა. ამიტომ ყველა დღესასწაული საბაბია იმისა, რომ დადებით ემოციებს ვუცვლიდეთ ერთმანეთს. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული შენი დაბადების დღეა.

ხშირად დავფიქრებულვარ ერთად გატარებულ წლებზე, ჩვენს ურთიერთობაზე, თუ როგორი იყავი ორმოცი წლის ასაკში და როგორი ხარ ახლა:

ორმოცი წლის ასაკში თუ გინდოდა, რომ ხვეული თმა გქონოდა, ამ ასაკში გინდა, რომ, უბრალოდ, გქონდეს;

ორმოცი წლის ასაკში კომპლიმენტები თუ გახარებდა, ამ ასაკში მხოლოდ გაშინებს;

ორმოცი წლის ასაკში თუ გინდოდა, რომ დრო გეტარებინა, გექეიფა სხვადასხვა რესტორნებსა თუ კლუბებში, ამ ასაკში გინდა, რომ მხოლოდ ჭამო, დაწვე და დაისვენო;

ორმოცი წლის ასაკში თუ გინდოდა, რომ ჯანმრთელად ყოფილიყავი, ამ ასაკში გიხარია, რომ ცოცხალი ხარ;

ორმოცი წლის ასაკში თუ გიხაროდა ახალი ფეხსაცმელი, ახლა გირჩევნია, ჩაიცვა ძველი და გაცვეთილი;

ორმოცი წლის ასაკში თუ ფიქრობდი, რომ ყველაფერი ახლა იწყება, ამ ასაკში აცნობიერებ, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა არაფერი.

მოკლედ, საინტერესო წლები გაქვს განვლილი და კიდევ მინდა, რომ ბევრი წელი განვლო შენთან ერთად, მინდა, დიდხანს გეძახდე ბუზღუნას, ფლასუნას, ზარმაცას, მძინარასა და კიდევ ბევრს, რა ჩამოთვლის.... მთელი გულით მინდა მოგილოცო ეს საოცარი დღე. როცა ვიფიქრე, რა მეთქვა, მინდა გისურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება, გარდა ამისა, მინდა გისურვო მეტი შთაგონება და უამრავი იდეის განხორციელება, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობ და კიდევ, არ ვიცი, რა გისურვო დაბადების დღეს, რადგან მინდა, ყველაფერი გისურვო ერთდროულად! – ასე მიულოცა დაბადების დღე იუბილარ ხელოვანს მეუღლემ დალი სურამლიშვილმა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

13 აპრილისათვის

**ვერძი** – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** – ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** – იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** – შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** – გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კომპანიის ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ვაშლის ღვინო; 3. სუბტროპიკული, ეთერზეთოვანი მცენარე; 4. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 6. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 9. ხურდა ფული საქართველოში; 11. გერმანელი ელექტროტექნიკური კონცერნი; 15. ისრაელის პრემიერ-მინისტრი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. გულიანი კანფეტი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 22. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 5. ერთ-ერთი რელიგია; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული თხა; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. უზადო ბრილიანტი; 18. გერმანული ავტომობილი; 20. ქერისა და შვრიისაგან დამზადებული უალკოჰოლო სასმელი; 23. დროის მონაკვეთი კრივში; 24. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 25. აჭარული ცეკვა; 26. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 27. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

